...ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე: პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба", [illegible] გამოგზავნილ ფულს [illegible]. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 172 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 172

პროფესიონალური კავშირი თფილისის შოფერებისა აუწყებს საზოგადოებას უდროვოთ გარდაცვალებას დაუვიწყარ თავის წევრის

**არჩილ ვაჩნაძისა,**

რომლის დასაფლავება მოხდება დღეს 15 აგვისტოს. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზე თავის ბინიდან (საპერის ქუჩა 39) და დაასაფლავებენ კუკიის სასაფლაოზე.

**ქართულ-გერმანულ კულტურული საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი**

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა სამუშაო სრულიად დაამთავრა.

**საზოგადოების საზოგადო კრება**

შესდგება კვირას, 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ყოფილ სადგომში (ფრე ლინის ქ. № 11).

დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) სექციათა (სალიტერატურო, სამეურნეო და სასკოლო) არჩევნები, 3) სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულებების (სტატუტების) გამომუშავება.

3—2 საორგანიზაციო კომიტეტი.

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განცხადება.

დამატებათ 25 ივლისის განცხადებისა, სპილენძის აღრიცხვის შესახებ, ცხადდება ყველა საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ ვისაც მოეპოება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი მასალები:

შავი ლითონები:

| | | |
|---|---|---|
| თუჯი ნაჭრობრივი | 100 | ფუთზე მეტი. |
| რელსი ყველა ზომისა | 100 | „ „ |
| რკინის კოჭები სიმაღლით არა ნაკლებ 10 სანტიმეტრისა | 100 | „ „ |
| რკინა ხარისხოვანი, ფურცლებათ დასახურავი | 50 | „ „ |
| სარესორო ფოლადი | 10 | „ „ |
| ლურსმანი ყველა ზომისა | 50 | „ „ |

წითელი და თეთრი ლითონები:

| | | |
|---|---|---|
| თითბერი | 10 | „ „ |
| ბრინჯი (ტყვია) | 10 | „ „ |
| კალა | 5 | „ „ |
| თუთი | 10 | „ „ |

და კიდევ

| | | |
|---|---|---|
| კაუსტიური სოდა | 25 | „ „ |
| ცემენტი | 100 | „ „ |
| გოგირდის სიმჟავე (თეზაფი) | 10 | „ „ |

წარმოადგინონ ორი კვირის განმავლობაში, ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში (ჭავჭავაძის ქუჩა № 2) ცნობები შესახებ ზემო აღნიშნულ საქონელთა რაოდენობისა და საწყობას მდებარეობისა მათი პატრონთა გვარის აღნიშვნით. თუ ვისმეს ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმოაჩნდება სადმე რომელიმე ზემო აღნიშნული მასალა, რომელიც არ იყო წარმოდგენილი აღრიცხვისათვის, მასალა სახელმწიფოს სასარგებლოთ ჩამორთმეული იქნება შეფასების ღირებულების ნახევარ ფასში, მათი პატრონნი კი სამართალში იქნებიან მიცემული 29 მუხლის სასამ. წეს ძალით.

## სასამართლოს რეფორმა

მართვა-გამგეობის საფუძველს ადმინისტრაცია და სასამართლო შეადგენს. ადმინისტრაციას სისრულეში მოჰყავს კანონი და უმაღლეს მთავრობის განკარგულებანი. სასამართლო კი თვალყურს ადევნებს კანონის დამრღვევთ და ამ გზით იცავს, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე კერძო მოქალაქეთა ინტერესებს.

რუსეთის თვითმპყრობელობამ მრავალ სხვა უწესოებათა შორის მოუწყობელი სასამართლოც გვიანდერძა: მისი მთავარი ნაკლი იყო მოსამართლის დამოუკიდებლობის მოსპობა და ადმინისტრაციის ყურმოჭრილ მონათ გადაქცევა.

კერძოთ ჩვენში ამ ბოროტებას დაერთო კიდევ ერთი ახალი ბოროტება: მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკა, რის მეოხებით ჩვენს სასამართლოში გაბატონებული იყო მცხოვრებთათვის გაუგებარი ენა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაამდაბლა სასამართლოს ღირსება და ყოველგვარი პატივისცემა დაუკარგა მას ხალხის თვალში.

მაგრამ ასეთი სამართალიც მიუწდომელი იყო ხალხისათვის სასამართლოთა რიცხვის სიმცირის გამო.

რევოლიუციამ დაანგრია ის საფუძველი, რომელზედაც ძველი სასამართლო იდგა. განთავისუფლებულმა ხალხმა ზურგი აქცია ძველს სასამართლოს. ფაქტიურათ სასამართლოების მოღვაწეობა შეჩერდა, თუმცა მოსამართლეები დღესაც თავიანთ ადგილებზე სხედან და ხაზინიდან დანიშნულ ჯამაგირებს ძველებურათ იღებენ.

ხალხი იძულებული გახდა თვითვე მოეწყო სასამართლო: სოფლებში სასოფლო სასამართლოების საქმე გლეხთა საბჭოებმა და სასოფლო აღმასრულებელმა კომიტეტებმა იკისრეს, რაიონებში—სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და კომისრებმა. ეს დაწესებულებები პირველ ხანებში, სანამ რევოლიუციონური სული ძლიერი იყო, ასე თუ ისე პირნათლათ ასრულებდენ გარემოებით დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ბოლო ხანებში მდგომარეობა შეიცვალა და ხალხი მოკლებულია სასამართლოს. ეს გარემოება სხვათა შორის დიდათ უწყობს ხელს ანარქიის გაძლიერებას.

იუსტიციის სამინისტროს, თუმცა დაგვიანებით, ყურადღება მიუქცევია ამ არა ნორმალურ მდგომარეობისათვის და დაუმზადებია მთელი რიგი კანონ-პროექტებისა. ეს კანონ-პროექტები, როგორც ვიცით, ეროვნულ საბჭოს იურიდიულ კომისიას აქვს გადაცემული და მალე თვით საბჭოს წარედგინება განსახილველათ.

აღნიშნულ კანონ-პროექტთა შორის პირველი ადგილი უჭირავს კანონ-პროექტს მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ.

ჩვენს სამინისტროს დრო და გარემოება ნებას არ აძლევს რაიმე თვითმოქმედება გამოიჩინოს ამ დარგში და შექმნას სრულიად ახალი სასამართლო. ამიტომ ის იძულებულია დაეყრდნოს 1912 წლის 15 ივნისის კანონს, რომელიც რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში უკვე იქნა შემოღებული,—მაგრამ ზოგიერთ ცვლილებებით და დამატებით.

ჩვენი სამინისტროს კანონ პროექტში სავსებით არის დაცული პრინციპი მოსამართლის დამოუკიდებლობისა: უკვე არჩეულ მოსამართლეს ვერავინ ვერ დაატოვებიებს ადგილს, თუ მან რაიმე ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინა და სასამართლოს წესით არ იქნა დასჯილი. მხოლოდ, დროებით, სანამ ჩვენში ერობა მოეწყობოდეს, მოსამართლეებს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

მეორე მთავარი განსხვავება იმაშია, რომ მოსამართლის ადგილის დასაჭერათ საჭირო არ არის არავითარი ქონებრივი ცენზი, როგორც ეს 1912 წლის კანონშია დაწესებული: საკმაოა კანდიდატს ჰქონდეს განსაზღვრული ხნეობრივი და განათლების ცენზი და სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ის, თუ კი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა, ქალი იქნება თუ კაცი შეუძლია მოსამართლის ადგილი დაიჭიროს. რაც შეეხება სასამართლოს ენას დაწესებულია: ყველა მოსამართლემ აუცილებლათ უნდა იცოდეს როგორც სახელმწიფოებრივი ენა—ქართული და ამას გარდა ის ენა, რომელზედაც უბნის თვალსაჩინო უმცირესობა ლაპარაკობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი სასამართლოების მთავარი ნაკლი იყო სასამართლო უბანთა სიმცირე, რაც იწვევდა საქმის დაუსრულებელ გაჭიანურებას. ამ ნაკლის თავიდან ასაშორებლათ კანონ-პროექტით განზრახულია გამრავლდეს სამომრიგებლო უბანთა რიცხვი. მაგალითად მარტო ქ. თფილისს ეყოლება ოცზე მეტი მოსამართლე, გორის მაზრას ათზე მეტი და სხვა. გარდა ამისა გამრავლებული იქნება სააპელიაციო სასამართლოთა რიცხვი: დღეს მთელ თფილისის გუბერნიას აქვს ერთი სააპელიაციო ინსტანცია—ეს არის თფილისის ოლქის სასამართლო. ახალ კანონით ერთი საპელიაციო ინსტანცია ექნება მარტო ქალაქ თფილისს—თფილისის სამომრიგებლო ოლქი, ერთი მარტო გორის მაზრას—გორის სამომრიგებლო ოლქი და სხვ.

სასამართლო დაწესებულებათა რიცხვის ასეთი გამრავლება, მართალია, ბევრს ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროთ გააიაფებს და დააჩქარებს სამართალს, რაც ანარქიის და არევ დარევის მოსპობას დიდათ შეუწყობს ხელს.

ახალი კანონით ისპობა სასოფლო სასამართლოები, რაც დიდ ბოროტებას წარმოადგენდა ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ მომრიგებელ მოსამართლეებს ექვემდებარება შედარებით წვრილი საქმეები: სამოქალაქო სფეროში—ორი ათას მანეთამდე ღირებული, ხოლო სისხლის სამართლისაში—ის საქმეები, რომლისთვისაც დანიშნულია სასჯელი არა უმეტეს დატუსაღებისა ღირსების აუყრელათ.

სისხლის სამართლის მძიმე საქმეებისათვის განზრახულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა დემოკრატიის დახმარებით შესძლებს ახლო მომავალში განახორციელოს სასამართლოს განზრახული რეფორმა და მით მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს სამართლის საქმე.

## პასუხი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება ამ რამდენიმე თვის წინ ჩვენი პარტიის, საოლქო კომიტეტმა ვრცელი წერილით მიმართა რუსეთის ამხანაგებს ამიერ კავკასიის საქმეების შესახებ. ამ წერილში მოკლეთ იყო დასაბუთებული ყველა ის ნაბიჯები, რომელიც ჩვენ გადავდგით ბოლო ხანებში.

კერძო ცნობებიდან ვიცოდით, რომ ჩვენმა მიმართვამ რუსეთელი ამხანაგები დააკმაყოფილა, მაგრამ დღემდის ხელთ არ გვქონია საამისო დაწერილი პასუხი პარტიის პასუხისმგებელ ორგანოსაგან. დღეს კი უკვე ხელთა გვაქვს რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხი (გაზ. „ისკრაში" მოთავსებული), რომელსაც სავსებით ვათავსებთ აქ:

„კავკასიის ტრაგედიის პირველი აქტი უკვე დასრულებულია,—ასე იწყება ეს პასუხი,—ეს მხარე ცდილობდა საკუთარის ძალ ღონით მოეშორებია ის მძიმე უღელი, რომელიც მთელ რუსეთთან ერთად მასაც დაედგა ბოლშევიკთა პარტიის ხელით. ამ მძიმე საქმეს შეუდგა ის იმ ღრმა რწმენით, რომ რუსეთის დემოკრატია ძმურად გაუწვდიდა მას ხელს და ველიკოროსიაში დიდხანს არ გაგრძელდებოდა ის მდგომარეობა, რომელმაც არა თუ შესაძლებლად აუცილებლადაც კი გახადა ბრესტის ხელშეკრულობა. ეს იმედები არ გაუმართლდა მას. კავკასიის საბედურო ძლიერებას ბოლო მოუღეს.

ეს გარემოება ახსნება არა მარტო იმით, რომ ოსმალებსა და გერმანელებს კავკასიელებზე გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდათ, არამედ იმ შინაური სისუსტითაც, რომელმაც თავი იჩინა ამიერ კავკასიაში ნაციონალურ ინტერესთა წინააღმდეგობაში, რაც საშინლად გაალვივა ოსმალთა გამარჯვებით წინსვლამ და რამაც ლახვარი ჩასცა კავკასიის თავდაცვას, და საერთოდ მის პოლიტიკას, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულისა.

ბრესტის ხელშეკრულობის მონობისაგან თავის გადარჩენა ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ რუსეთისაგან ფორმალურად ჩამოშორებით სცადა. ორი თვის შემდეგ ახალი სახელმწიფოებრივ ჩანასახი დაირღვა და სამი უმთავრესი ერი: სომხები, ქართველები და მუსულმანები საკუთარის პასუხისმგებლობით იძულებულნი გახდენ ხელი მოეწერათ საშინელ ზავის პირობებზე.

ახალი ზავი, რომელიც მოგვცა კავკასიის სამათ განაწილების საფასურად, არა მარტო ადიდებს ბრესტში დადებულ ხელშეკრულებასთან შედარებით ოსმალეთის ტერიტორიალურ ნადავლს, არამედ—გერმანიას ანიჭებს სამხედრო და ეკონომიურ პოზიციათა მთელ რიგს, რაც კავკასიას გერმანიის კოლონიზაციის ობიექტად გადაქცევასთან ერთად ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველ-დასაყრდნობ ადგილად შექმნასაც უქადის.

ითვალისწინებ რა კავკასიის დემოკრატიის ამ გვარ ცდას ბრესტის კლანჭებიდან გასაქცევად, ძალაუნებურად ეკითხები შენს თავს: ეგების უკეთესი ყოფილიყო, რომ კავკასიის დემოკრატიას თავიდანვე უარეყო ეს ცდა და სწორეთ ისე მოქცეულიყო, როგორც ამას ურჩევდენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლნი: ეცნოთ ბრესტის ხელშეკრულობა და სიტყვის ამოუღებლად მიეცათ ყარსი, არდაგანი და ბათუმი.

ბოლშევიკების პუბლიცისტები ღვარძლნარევის სიხარულით უყენებენ ამ კითხვას ჩვენს კავკასიელ ამხანაგებს.

ამაზე პასუხს მოგვცემს ფაქტების უბრალო გადასინჯვა: არც კურსკის გუბერნიის და არც ყირიმის მცხოვრებთ აზრათაც კი არ მოსვლიათ ბრესტის ხელშეკრულობის დარღვევა, მაგრამ გერმანელების ოკუპაციისაგან თავი მაინც ვერ გადაირჩინეს, ყოველ ეჭვს გარეშეა კავკასიას წინააღმდეგობაც რომ არ გაეწია, გერმანია-ოსმალეთის ჯარების წინსვლა მანამ არ შეჩერდებოდა, სანამ მიღწეული არ იქნებოდა გერმანიის მთავარი მიზანი: კავკასიის წვრილ უძლურ ერთეულებად დანაწილება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იყო ხანა ბრესტის ხელშეკრულობის გერმანიის მხრივ ფართოდ გაგებისა და საკუთარის სურვილებისამებრ ახსნა განმარტებისა. ბრესტის ზავის მიღება და ყარს-ბათუმის უბრძოლველად ჩაბარება სრულიად ვერ იხსნიდა კავკასიას საშიშროებისაგან. გვექნებოდა მხოლოდ ჩიჩერინის საპროტესტო ნოტათა ზედმეტი ასეული.

და ეს კარგად ესმოდათ ჩვენს კავკასიელ ამხანაგებს, როცა ხელს ჰკიდებდენ თითქმის უიმედო თავდაცვის საქმეს. ხშირად არის ხოლმე ისტორიაში ისეთი მომენტი, როცა ქვეყნის მომავლის გულისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გასაღვივებლად უიმედო ბრძოლაც კი ბოლომდის უნდა იქნას გაგრძელებული. ქართველ და სომხის დემოკრატიისათვის ეს ბოლო ერთობ მალე მოახლოვდა, ისე მალე, რომ არც ის, დემოკრატია და არც ჩვენ ამას არ ველოდით. და ეს მოხდა იმიტომ, რომ არავის არ ეგონა თუ „კომინუსტური" რუსეთი აგრე აქტიურად დაეხმარებოდა ოსმალთა მტაცებლებს, არ გაუშვებდა კავკასიის დასახმარებლად უკვე გამგზავრებულ მოხალისეთ, დახვრეტდა კიდეც ბევრ მათგანს (მაგ. არმავირში), შავი ზღვის მეზღვაურთ აუკრძალავდა კავკასიას დახმარებოდენ და თან გახულიგანებულ და გახრწნილ ფრონტოვიკ—ჯარისკაცების სახით შემოსეულ მტერთან გმირულად მებრძოლ პროლეტარულ ბატალიონებს ზურგს უკან რეაქციონურ აჯანყებებს მოუწყობდა.

ჩვენმა კავკასიელმა ამხანაგებმა სათანადოთ ვერ დააფასეს ის საშიშროება, რომელიც უმზადდებოდა უკანიდან მათ მიერ წარმოებულ თავდაცვას. კარგად ვერ ასწონ დასწონეს მათ ალბათ ნახევრად ველურ კავკასიელ მუსულმანთა პანისლამისტური მისწრაფებაც, რაც სრულიად მოულოდნელად, ბრესტის ზავის გამო უკვე გახწნილ ოსმალეთის ფეხზე დადგომამ საშინლად გაალვივა და იმედი მისცა მათ, კავკასიელ მუსულმანებს, რომ კავკასიის ერთა შორის პირველ როლს ითამაშებდენ. როცა სინამდვილეში ნათლათ გამოჩნდა მუსულმანთა ოსმალებისაკენ მიდრეკილება და ბოლშევიკების უკანასკნელთა სასარგებლოთ მუშაობა, სომეხთა და ქართველ გლეხობის საომარი სულიერი განწყობილება ერთიანათ დაეცა. მხოლოდ მცირერიცხოვანი ქალაქის პროლეტარიატი დარჩა შეუდრეკლათ ამ საშინელ განცდის ჟამს. ქართველ და სომეხ მასის დიდი ნაწილი ერთობ უგულოთ იცავდა თავს და არ ჰქონდა გამარჯვების იმედი.

ასეთ პირობებში ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. კავკასიის ერებს ოსმალთა მხრივ მოელოდათ არა მარტო მათი ტერიტორიის ოკუპაცია, არამედ—პირდაპირ ფიზიკური განადგურება როგორც ჯარებისაგან, ისე ადგილობრივ მუსულმანების მხრივ. რუსეთიდან ჩამოშორებული ამიერ-კავკასია იძულებული შეიქნა მიეღო ახალი ზავის მთავარი მუხლი, რომელიც წარუდგინეს მათ ოსმალეთმა და გერმანიამ: სამ ოლქათ დანაწილება და თითეულ ოლქის ცალკცალკე გამარჯვებულ ამა თუ იმ სახელმწიფოს სხვადასხვა სახის გავლენის ქვეშ ყოფნა.

ამ საფუძველზე შეკრული ზავი თითქმის სრულ კაპიტულიაციას ნიშნავს. ფაქტიურათ პოლიტიკური ძალა-უფლება მთელ ამიერ კავკასიაში გერმანიისა და ოსმალეთის ხელში გადადის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რევოლიუციის მონაპოვარისაგან და დემოკრატიულ წესწყობილებისაგან კავკასიაში არაფერი, ან თითქმის არაფერი დაგვრჩება.

კავკასიელებმა და კერძოთ საქართველოს მმართველებმა ასეთ ზავს იმიტომ მოაწერეს ხელი, რომ ამ გზით დაეხსნათ თავისი ხალხი პირდაპირ ამოხოცვისაგან, თათრების გაჟლეტისაგან. ისინი წარმოადგენენ მთელი საქართველოს დიდი უმეტესობის ინტერესების დამცველ პარტიას და ამიტომ ამ შავბედით ჟამს მათ, საქართველოს მმართველებს, არ შეეძლოთ კაპიტულიაციის მძიმე საქმე დაეთმოთ სხვა რომელიმე პარტიისათვის, მიენდოთ იმ ჯგუფთათვის, რომელთა სასარგებლოთ გერმანელები და ოსმალები შემდეგში შეუდგებიან რევოლიუციონურ მონაპოვართა გაქარწყლებას. ის მძიმე ტვირთი, რომელიც საქართველოს გლეხობამ დააკისრა მუშათა პარტიას, მას არ შეეძლო მოეცილებია თავიდან იმ უბედურ წამს, როცა ეს გლეხობა სისხლით დაიცალა და ვერ შესძლო ოსმალ გერმანელების შემოსევისას ზურგი გაემაგრებია თავგანწირვით მებრძოლ ქალაქის პროლეტარიატისთვის. დამოკიდებულ საქართველოში მართვა გამგეობას სხვის ხელში გადაცემაზე ეხლა თითონ გერმანელები და თურქები იზრუნებენ. ეს გადაცემა მოხდება, რასაკვირველია, დემოკრატიულ წესწყობილების ნელ-ნელა გაქარწყლებით. ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ახლო მომავალი ერთობ შავი სალებავებით გვეხატება. ბელგიის, სერბიის, რუსეთის, პოლონეთის, ლიტვის და საზოგადოთ ყველა წვრილ, იმპერიალიზმის მიერ გასრესილ ერთა ბედი „წითელ კავკასიისათვისაც" აუცილებელია. მხოლოდ მუშათა კლასის იმპერიალიზმზე გამარჯვება და ამ საშინელობის ცოტად თუ ბევრად დემოკრატიულის ზავით დასრულება მოუტანს თავისუფლებას ამიერ კავკასიის ერებს. მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის ხელახალ აღორძინებას შეუძლია სხვაზე უკეთ საერთო დემოკრატიულ ზავის მოახლოვება, რუსეთის ყველა ხალხთა იმპერიალისტურ რეაქციონურ გერმანიის საწინააღმდეგოთ აჯანყებას შეუძლია გარდუშალოს კავკასიელებს ახალი და ბრწყინვალე პერსპექტივები.

დღეს კი შეგვიძლია ჩვენს კავკასიელ ამხანაგებს გამოუცხადოთ რუსეთის პროლეტარიატის სახელით მხოლოდ უდიდესი სამძიმარი. მათი უბედურება მთელი რევოლიუციონური რუსეთის უბედურებაა. ამ უბედურებაში მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკურ შეცდომებს, რომელიც მოუვიდა კავკასიის დემოკრატიას უთანასწორო ბრძოლის იმ მაყურებს მოსაშორებლად, რომელიც უცხო ხელმა გადააბა მას ბრესტში. შეცდომები უსათუოდ იყო დაშვებული, მაგრამ არ სცდება მხოლოდ ის, ვინც არას აკეთებს. მაგრამ ტაქტიკურ შეცდომათა როლი საქვეყნო კონიუნქტიურისაგან დამოკიდებული ბოლოს და ბოლოს უმნიშვნელოა. რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ყოველ შემთხვევაში აქტივში ჩაუწერს კავკასიის სოციალდემოკრატიულ პროლეტარიატს იმ ფაქტს, რომ რუსეთისაგან მიტოვებული, ის შეეცადა თავის პატარა ძალებით რევოლიუციის წითელი დროშა უმწიკვლოდ შეენარჩუნებია იმპერიალიზმის ვანდალების წინაშე, იმ ვანდალების, რომელთა ფეხქვეშ გაინაროხენ სოციალიზმის ბოლშევიკური ფალსიფიკატორები".

## პირველი „მერცხალი"

ეს პირველი მერცხალი „კავკაზსკოე სლოვოს" ფურცლებზე მოგვევლინა საზოგადოება „ნახშირა"-ს სახით.

რა ამბავი მოიტანა ამ მერცხალმა, ან ვის რა ახარა?

ამას ჩვენ გავიგებთ თუ წავიკითხავთ შემდეგ სტრიქონებს:

„საქართველოს რესპუბლიკამ, რომელმაც ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან მიიღო „ნახშირა"-ს წარმოება (ტყიბულის მაღაროები), უნდა იცოდეს, რომ ეს კერძო საკუთრებაა და ღირს არა ნაკლებ 10 მილიონ მანეთისა, რომ ეს წარმოება უნდა დაუბრუნდეს კუთვნილებისამებრ.

„თუ ამიერ-კავკასიის მთავრობამ ომის გამო ჩაიგდო ხელში ეს წარმოება, უნდა ითქვას ახლა, რომ საქართველო არავისთან ომს არ აწარმოებს, ამიტომ ტყიბულის მაღაროები და აგრეთვე მთელი ჩამორთმეული ქონება უნდა გადაეცეს კანონიერ მესაკუთრეთ, სახელმწიფოს საჭიროებას კი დააკმაყოფილებს საზოგადოება „ნახშირა"-ს გამგეობა.

„უნდა დაჩქარებულ იქნას დარღვეული უფლების აღდგენა, უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ მოახლოვებულია ჟამი, როცა მოვა სასამართლო, სასტიკი და სამართლიანი სასამართლო და მაშინ გაისმის ხმა: ჩამოდიქთ"! „(კავკ. სლ." № 168).

შეიძლება „ნახშირას" საზოგადოებას მართლა დაუბრუნდეს ჩამორთმეული ქონება, შეიძლება 10 მილიონი ან ნაკლები მიეცეს ამ საზოგადოებას საფასურად და სხ. ეს მოსალოდნელია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნახშირა"-ს საზოგადოების მუქარა-წინასწარმეტყველება დიდ სიხარულ-იმედებს გამოიწვევს იმ წრეებში, რომელთათვისაც კი რაიმე „საკუთრება" ჩამოურთმევიათ.

პირველ რიგში ამ მხიარულთა შორის, რა თქმა უნდა, ჩვენებური მემამულეები იქნებიან, რომელთაც ამ რევოლიუციის დროს კანონის ძალით ჩამოართვეს კულტურულად თუ უკულტუროდ მოწყობილი „კერძო საკუთრება".

აი ვის მოუტანა სასიხარულო ამბავი პირველმა მერცხალმა!

## როგორ ესმით ჩვენში დემოკრატიზმი?

(ექიმ მუსხელიშვილის დათხოვნის გამო).

ჩვენ მივიღეთ ცალკე ფურცლათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების ექიმთა კავშირისა,—რომელიც მან გამოიტანა თვალის ექიმის ვ. მუსხელიშვილის რკ. გზის კომიტეტისგან დათხოვნის გამო. ექიმთა კავშირის გამგეობა ჯერ იგონებს სიტყვას მუსხელიშვილისას, რომელიც სარკინისგზო კომიტეტმა ხელზე დაიხვია მის წინააღმდეგ, როგორც ვითომდა კონტრ-რევოლიუციონური. შემდეგ აღნიშნავს, რომ მუსხელიშვილის სიტყვაში არაფერი შავრაზმული არ ყოფილა და რომ ის შეიცავდა მარტო აშკარა და თამამ კრიტიკას რკინის გზის კომიტეტის მოქმედებისას და კერძოდ კომისარ ნინუას მოღვაწეობისას და ბოლოს ასე დასძენს:

[illegible] როგორც გამგეობის წევრმა, სხვაზე უკეთ იცის, რომ კომიტეტი თავის გამოქომაგებით მიუწდომელად ხდიდა კომისარ ნინუა'ს და რომ ამას ბოლოს მოღება უნდოდა. და ამიტომ მან კრებაზე განაცხადა ის, რაც გულს უღრღნიდა და რისთვისაც იდევნებოდა, თუმცა ის რკინის გზაზე 15 წლის განმავლობაში პატიოსნათ მსახურებდა, როგორც თვალის ექიმი, ხოლო როგორც საუკეთესო სოციალისტმა, დაიმსახურა ნდობა და მადლიერობა რკინის გზის მოსახლეობისა. ექ. მუსხელიშვილი დაითხოვეს. ჩვენ, რკინის გზის ექიმთა კავშირის გამგეობის წევრნი, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რომ ექ. მუსხელიშვილის დათხოვნა მოხდა ისე, რომ წინასწარ მას საშუალება არ მისცეს თავის მართლებისა, რაც შეადგენს ელემენტარულ უფლებას ყველა მოქალაქისას. ამისათვის ასეთ დადგენილებას ჩვენ ვ'თვლით არა კანონიერათ და არა დემოკრატიულათ, რაიც გვაგონებს ჩვენ ძველი რეჟიმის დროინდელ თვითნებობას და ბნელ, საიდუმლო ძალების ავსამიანობას და ვსთხოვთ ყველა ამხანაგ ექიმს გაიგონ ჩვენი მდგომარეობა და, თუ მთავარ სარკინისგზო კომიტეტის დადგენილება არ გააუქმეს ან გზათა უფროსმა ან გზათა მინისტრმა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით **ნიშნათ პროტესტისა თვითნებობის წინაალმდეგ ექ. მუსხელიშვილის ადგილს ბოიკოტი დავადოთ** და ვსთხოვთ ჩვენ ამაში მხარი მოგვცენ. შემდეგ გამგეობა თავის მოვალეობათ თვლის აცნობოს ამხანაგებს, რომ მას არ სურს მუსხელოვის ადგილზე თუნდაც დროებით დაინიშნოს ვინმე ექიმათ, რადგან **ჩვენ გვყავს იმის ადგილზე დასაყენებელი კაცი.** რკინის გზის ექიმთა კავშირის გამგეობის ეს დადგენილება გაეგზავნოს ბ-ნ გზათა მინისტრს პირი ქ. თფილისის ექიმთა ორგანიზაციებს და პრესას. ეს პროტესტი ძალაში რჩება სხვა ექიმების შესახებაც, უკეთუ ისინი მომავალში დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან".

აღნიშნულ დადგენილებას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროთ ვთვლით ორიოდე სიტყვით შევეხოთ მას. ამისთვის კი საჭიროა ამ დადგენილებას ჩამოვაშოროთ დემოკრატიული ფრაზეოლოგია, რომელშიაც ის გახვეულია. ჩვენი ცხოვრების უბედურება ის არის, რომ ბევრი პირი და ჯგუფი შეუბრალებლათ სთელავს ფეხქვეშ დემოკრატიზმის ელემენტარულ მოთხოვნილებას და ამავე დროს დაუსრულებელ მსჯელობას იწყებს დემოკრატიზმის შესახებ. და რაც უფრო გასაკვირია, რომელიმე **ჯგუფი** მშვენივრათ ხედავს მეორე **ჯგუფის** დანაშაულს, მაგრამ საკუთარს კი ვერ ამჩნევს. როცა, მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი ფოსტის უწყების საქმეში ერევა და ამ უწყებაში ცალკე სახელმწიფოს შექმნას ლამობს, ეს არც ერთ ექიმს არ მოსწონს, მაგრამ თითონ ექიმები კი ერევიან რკინის გზის საქმეში და ამ ჩარევას დემოკრატიულ საქმეთ ასაღებენ. ასეთია ექიმთა კავშირის მოქმედება ექ. მუსხელოვის საქმეში.

არავინ ფიქრობს, ვითომ ჩვენ რკინის გზის მთავარ კომიტეტის და კომისარ ნინუას მოქმედების გამართლება გვქონდეს მიზნათ. ჩვენ არც კი შევდივართ კომიტეტის მოქმედების დაფასებაში, რადგან ამისთვის საჭირო მასალები არ მოგვეპოება. შესაძლებელია, ამ კომიტეტის არსებობაც არ იყოს საჭირო, მაგრამ რა ნება აქვს ექიმთა კავშირს ბოიკოტს ქვეშ გამოაცხადოს ესა თუ ის ადგილი და მუქარ თ მიმართოს: მომავალშიაც ასე მოვიქცევით, თუ ვინმე დათხოვნილი იქნებაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც მესტრეს ან სადგურის უფროსს არ უნდა ქონდეს ნება რკინის გზის მართველობის საქმეში ჩაერიოს, ისე ექიმთა კავშირს: რკინის გზის ექიმის დათხოვნა მიღება რკინის გზის ადმინისტრაციის ხელში უნდა იყოს.

სხვაგვარი „დემოკრატიზმი“ მხოლოდ არევს ისედაც არეულ საქმეს.

# ბაქოში

დღეს ბაქო დიდ ყურადღებას იქცევს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მან თავდაცვის საქმეში დიდი უნარი და ენერგია გამოიჩინა. ის ბალშევიკების სახელით გამოდიოდა, ყველა შემთხვევაში დღემდის მაინც, და ამას ბევრი განცვიფრებაში მოჰყავდა.

ლაპარაკობდენ პროლეტარიატის დიქტატურაზე...

როგორ მოხდა ეს? ნუ თუ მართლა ბალშევიზმმა გააერთიანა დემოკრატია? ნუ თუ მართლა მან შექმნა ეს ძალა?

საზოგადოებრივი აზრის უფრო დიდი ფალსიფიკაცია შეუძლებელია.

ვიღაცას დასჭირდა პროლეტარიატის ავტორიტეტი, ვიღაცას დასჭირდა ბალშევიკების დროშა, თორემ ნამდვილათ კი ბალშევიკები ბაქოშიც თავიდან ბოლომდე იმ სამარცხვინო და საბრალო როლს თამაშობდენ, როგორც ყოველგან რუსეთში. ვინც ბაქოს ტრაღედიას თვალს ადევნებდა, მან იცის, რომ [illegible] წრეებში ბალშევიკებმა გეგემონია უკანასკნელ დრომდის ვერ ჩაიგდეს ხელში, მხოლოდ დემოკრატიის ერთობას ძირი გამოუთხარეს: მისი ერთი ნაწილი ნაციონალისტურ პარტიების ქსელში გაბეს, მხოლოდ მეორე და უფრო შეგნებულ ნაწილთან გააჩაღეს ბრძოლა, მოინდომეს მათი პროფესიონალური კავშირების დანგრევა, რადგან ამ უკანასკნელთ არ უნდოდათ ავანტიურისტების ბატონობის ქვეშ ყოფნა.

უკანასკნელმა არჩევნებმა მ. და ს. დ. საბჭოში ცხადჰყო, რომ ნაციონალისტურ პარტიებს მაგრათ გაედგათ ფესვები. დაშნაკციუტუნს თავის დროშის ქვეშ დაეყენებია მთელი სომხობა ისეთი გამონაკლისით, რომელზედაც ლაპარაკი არც კი ღირს, „მუსავატს“—მაჰმადიანობა.

ეს დემოკრატიის სისხლით მოვაჭრე პარტიები „მეშჩანობის“ ჯოგში თავიდან ძლიერნი იყვენ, მხოლოდ ბალშევიკების საქმიანობამ მათ მუშათა რაიონებშიც დიდი გამარჯვება მიანიჭა.

ასეთი პროლეტარიატის დიქტატურა შექმნეს ბალშევიკებმა ბაქოში.

ეს იყო დემოკრატიის სატირალი დღეები, დღეები გათიშვისა. ამ გათიშვის შედეგი—მარტის ამბები. ბაქოს ბალშევიკების დღეგრძელობა და „ძლიერება“ დემოკრატიის დამარცხებაზე აღმოცენდა.

ნოემბერ-დეკემბერში ბაქოში ისინი ხიშტებით გაბატონდენ, ხიშტები კი საკმაოდ ჰქონდათ: მათ გავლენის ქვეშ იყო ბაქოს მრავალ-რიცხოვანი გარნიზონი და ფრონტიდან დაძრული ჯარი. მხოლოდ თებერვალში და მარტში შეიცვალა მდგომარეობა. რუსეთისაკენ მიდიოდენ უკანასკნელი ეშელონები; ბაქოს გარნიზონიც დადნა; დაიშალა ორას სამოცდა მეცხრამეტე სათადარიგო პოლკი და ბალშევიკების მდგომარეობაც კრიტიკული გახდა. მათ შერჩათ მხოლოდ კასპის ფლოტის მეტის მეტად თვითნება და გახულიგანებული მატროსები, რომელნიც თავს ესერებს უწოდებენ, გატაცებულნი იყვენ ძარცვა გლეჯით და ბალშევიკებისთვის ნაკლებათ ეცალათ. მეტად სახიფათო ძალა იყო ბალშევიკებისთვის მილიცია და ქალაქის დაცვის კომისარიატის რაზმი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ საბჭოს „მთავრობას“ უნდა ეზრუნა რამე ძალის შექმნაზე: მათაც შეავსეს წითელი გვარდიის რაზმები და შექმნეს ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალური პოლკი. იქაც და აქაც სამსახური მეტად ხელსაყრელი იყო და ხალხი იშოვეს. მიუხედავათ ამისა კერძო ლაპარაკში ბალშევიკების მეთაურები არ მალავდენ თავის უძლურებას.

ბალშევიკების ასეთ ტრაღიკულ მდგომარეობს კარგათ ხედავდა მუსავატი და არ უშვებდა შემთხვევას დაეცინა მათთვის, დაემცირებია ისინი. მუსავატელები დარწმუნებულნი იყვენ იმაში, რომ ბაქოში ძალა-უფლებას მაშინვე აიღებდენ ხელში, რა წამსაც კი მოიწადინებდენ; მათ კვეხნას და ყოყოჩობას საზღვარი აღარ ქონდა; მათი „ულტიმატუმები“, გამარჯვებულის პოზები და ჟესტები საზიზღარი იყო. რამდენათაც მუსავატისა და საბჭოს დამოკიდებულება მწვავდებოდა, იმდენათ მაგრდებოდა დაშნაკელების კავშირი. საბჭო ასეთი დაახლოების მხოლოდ მოხარული იქნებოდა, რადგან საფრთხის თავიდან ასაშორებლათ თვით ეშმაკსაც კი შეუკავშირდებოდა. საფრთხე კი დიდი იყო. გარშემო მაჰმადიანობის ოკეანე, დახმარების იმედი კი არსაით. კასპის გალმა კოლ'ოვი სართებთან ბრძოლაში იყო ჩართული; ჯერ კიდევ გაყინულ ვოლგით ვერავითარ ძალას ვერ მიიღებდენ; გროზნა გუდერმესს ჩეჩნები დაეპატრონენ და ყუბა ყუსარა-ხაჩმასს კატორღელ შიხლიარცების ბრბოები. ასეთი იყო ბალშევიკების მდგომარეობა ბაქოში გემ „ევლინაზე“ მომხდარ ინციდენტამდე.

„ევლინას“ ინცინდენტმა გადაატრიალა არსებული მდგომარეობა.

რა ნიადაგზეც არ დაწყებულიყო ბაქოში შეტაკება, მაგრამ ის აუცილებლათ ერთა შორის ქლეტით უნდა გათავებულიყო. ეს კარგათ ესმოდა ყველას, და უპირველესად თვით ბალშევიკებს, მუსავატელებს, დაშნაკელებს და სომხურ ეროვნულ საბჭოს. ასეთი კატალასის დაწყება იქნება რომელიმე მხარის ანგარიშშიც შედიოდა თავის მდგომარეობის გასამტკიცებლათ.

ის კია, მუსავატელების გეგმა უნდა ყოფილიყო ჯერ ბალშევიკების დამარცხება და შემდეგ მოქიშპე ერთან ანგარიშის გასწორება. ეს, რასაკვირველია, არ დაემალებოდა დაშნაკელებს და სომხურ ეროვნულ საბჭოს.

გამოსვლის წინ „მუსავატმა“ შეატყობია თურმე უკანასკნელს, ბრძოლას ვიწყებთ ბალშევიკურ მთავრობასთან, თქვენთან კი გვინდა მეზობლური კეთილგანწყობილების შენახვა, ამისათვის გთხოვთ „ნეიტრალიტეტი“ დაიკავოთო. სომხურ ეროვნულმა საბჭომაც დიდებითი პასუხი მისცა „კეთილ მეზობლებს“, მა[illegible] მეზობლები და კარგი ხაცნობები ერთმანეთის თვალების ახვევას ამაოდ სცდილობდენ. თამაში მეტად უბრალო იყო, რომ მხარეებს ვერ გაეგოთ მისი შინაარსი.

შაბათს, 17 მარტს, „ევლინაზე“ სროლა არც კი იყო გათავებული — უკვე მრავალი სომეხი არა-ბალშევიკი მიისწრაფოდა ბალშევიკურ აღმასრულებელ კომიტეტის დასაცავათ. ასეც უნდა მომხდარიყო. „მუსავატის“ გამოსვლაში სომხების ეროვნულმა საბჭომ საშინელი საფრთხე დაინახა და ის უყოყმანოდ დადგა ბალშევიკების დროშის ქვეშ. ბალშევიკების სახელით გამოსვლით ის, რასაკვირველია, ისე აჭახრაკებდა საქმეს, როგორც ერთი ანეკდოტის ქალწული, რომელმაც „и невинность соблюла, и капиталъ пріобрѣла“, მოუსვენარ მეზობელს ანგარიშს უსწორებდა ლამაზ მანტიაში გახვეული და ეჭვს გარეშეც დგებოდა—თავის საქციელს მოქალაქეობრივ ომათ ასაღებდა.

კვირას, 18 მარტს, საღამოს 5 ნახევარ საათზე მთელ ქალაქში ატყდა საშინელი სროლა. რამოდენიმე საათში კი გამოირკვა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: მუსავატელებს მიზანში საბჭოს არც ერთი რაზმი, არც ერთი პუნქტი არ ჰქონებოდათ; მათ, საზოგადოთ, არ ჰქონებოდათ არც ბრძოლის რაიმე გეგმა და ეს არც საჭიროდ მიაჩნდათ თურმე, რადგან ეგონათ, რომ საქმე მარტო გახრწნილ საბჭოს ჯარებთან ექნებოდათ და სრულ და ადვილ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ანგარიში არ გაუმართლდათ. მოულოდნელათ მათ წინაამდეგ წამოიშალა საშინელი ძალა. ეს ძალა იყო—„ინტერნაციონალური“ პოლკი, 2—3 ათასი წითელი გვარდიელი, ნაწილი ოცდამეთუთხმეტე თურქესტანის მსროლელ პოლკისა და კასპიის ფლოტი, რომელმაც კეთილ ინება „კონტრ რევოლიუციასთან“ ბრძოლა.

რეზერვში იყო დიდი ნაწილი თავიდან ფეხამდე მშვენივრათ შეიარაღებულ დაშნაკთა რაზმებისა, მეორე სომხური პოლკი და ამაზასპის რაზმი. (მე-36 თურქესტანის მსროლელმა პოლკმა „ნეიტრალიტეტი“ გამოაცხადა). ამას გარდა, ამ დროს ბაქოში იყო მრავალი სხვადასხვა ფრონტიდან დაბრუნებული შეიარაღებული სომეხი ჯარისკაცი, რომელთაც განჯას აქეთ არ უშვებდენ თათრები. აღნუსხულმა ძალამ სამი დღის ბრძოლაში სასტიკათ დაამარცხა მოუმზადებელი, უფრო ცუდათ შეიარაღებული (არ ჰქონდათ არც ერთი ზარბაზანი, არ ეყოთ პატრონები), ბრძოლაში უჩვევი და რიცხვით ნაკლები მოპირდაპირე. ბაქოს ქუჩები გაიბორგა თათრების მკვდრებით, რომელთა რიცხვს, ვარაუდით, 5—8 ათასამდე ამბობენ. ამის შემდეგ სომხურმა ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურათ იცნო ბალშევიკების მთავრობა. რას კარგავდენ!

ბალშევიკების პრესტიჟი გაიზარდა.

ღირდა დახატვა სომხების არხიმილიონერების ბალშევიკების დამცველთა როლში. ერთ პიესაში, მას შემდეგ, რაც დამფრთხალი ბურჟუაზია იმარჯვებს, ბედნიერებით თავბრუდასხმულ დედადედაკაცებს მიჰყავთ პატარა ბავშვები ზარბაზნებთან და აკოცნიებენ მის ლულაზე. დაახლოვებით ასეთ სურათებს ჰქონდათ ადგილი ბაქოშიც გამარჯვებულთა ბანაკში.

ეხლა გათავხედებულ შოვინისტების ბაქიაობას აღარ ჰქონდა ზომა. ისინი ქუჩაში აწყობდენ პეტროვსკსა და განჯა-თფილისზე გალაშქრების გეგმებს, მოითხოვდენ მთელ ამიერ-კავკასიის მაჰმადიანობის განიარაღებას, სეიმისა და „კონტრ რევოლიუციონურ“ გეგეჭკორის მთავრობის დანგრევას მაშინ, როდესაც სულ რაღაც ოთხი დღის წინ მთელ ქვეყანაზე მათ მხოლოდ იმ „კონტრრევოლიუციონურ“ მთავრობის იმედი ჰქონდათ.

ასეთი იყო ბაქოში მარტში ატეხილ „კლასთა ბრძოლის“ სურათი.

ასეთი იყო „პროლეტარიატის“ დიქტატურა.

დღეს ბაქოს ოსმალთა შემოსევისაგან იცავს იგივე ძალა, რომელიც მარტში თათრების წინაალმდეგ დაირაზმა, თუ გამოიცვალა—სულ ცოტა რამ.

ის არ იყო კლასთა ბრძოლა, სამოქალაქო ომი (ასეთი აზრის გამოთქმისთვის დახურეს ბაქოს მენშევიკების გაზეთი—„ნაშ გოლოს“); არ შეადგენს პროლეტარიატის ლაშქარს არც ის ჯარი, რომელიც დღეს ოსმალებს ებრძვის 4—5-ს იმ ძალისას, რომელიც მარტში მაჰმადიანობას დაუპირდაპირდა, სომხობა შეადგენდა; ეს პროპორცია, როგორც სჩანს, არც დღეს შეცვლილა, თუმცა ამბობენ, ბაქოს გარნიზონი ცოტა უფრო აჭრელდა ძალათ გაწვეულ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებითო. ამ გარნიზონის რაოდენობა ასე გვყავს წარმოდგენილი:

| | |
|---|---|
| ინტერნაციონალ. პოლკი . | 2,000 კაცი. |
| მეორე სომხური პოლკი . | 2,500 „ |
| ამაზასპის რაზმი . . . . | 1,000 „ |
| შემახის მაზრის სომხობის გვარდია . . | 1,000 „ |
| სხვადასხვა დროს ფრონტებიდან დაბრუნებული და ბაქოში ჩარჩენილი სომეხი სალდათები (დღეს იმათგან ერთეულები იქნება შედგენილი . . | 10,000 „ |
| დაშნაკელების მებრძოლი რაზმები . . | 5,000 „ |
| ყოფილ კავკასიის პოლკის ორი როტა. . | 500 „ |
| მილიცია, მენშევიკების რაზმი, დამცველი რაზმი . . | 1,500 „ |
| ბიჩერახოვის რაზმი . . . | 2,500 „ |
| რუსეთიდან მოსული ბალშევიკების რაზმი. . | 1,000 „ |
| სულ . . | 27,000 „ |

ყველა მოყვანილი რიცხვები თვითეულათ აღებული იქნება სიმართლეს არ შეეფერებოდეს, იქნება მოყვანილ ერთეულები დღეს სხვანაირათ იყოს გადაჯგუფებული (ბიჩერახოვის რაზმს, რომელსაც ამ ბოლო დროს დიდი როლი უთამაშია, 2—6 ათასამდე ამბობენ) მაგრამ მაინც, დაახლოვებით, დღეს ბაქოს 25—30 ათასამდე მებრძოლი უნდა იცავდეს. გარნიზონი მშვენივრად შეიარაღებულია; მის ხელშია მთელი სპარსეთის ფრონტიდან გამოტანილი იარაღი და სატრანსპორტო საშუალება; მას აქვს ჯავშნიანი მატარებელი და, თუ არ ვცდები, რამდენიმე ჯავშნიანი ავტომობილიც; მის განკარგულებაშია მთელი კასპის ფლოტი და სამი სამხედრო გემი— „ყარსი“, „არდახანი“ და „გეოკ-ტეპე“, რომელთაც შეუძლიათ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ სადგურ ალიათის ზევით წაწეულ ოსმალთა ჯარების წინაალმდეგ. გარნიზონს წინ უდგას ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაზეა დამოკიდებული ბაქოში მცხოვრებ სომეხთა ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე, რომელთა რიცხვი 100,000 ათასს აღემატება. ასეთ პირობებში ბრძოლას მეტის-მეტი სასტიკი ხასიათი უნდა მიეღო და ბაქოს აღება არც ისე ადვილია, მით უფრო რომ ადერბეიჯანელები სუსტი მეომრები არიან.

ალფა ცისკარაძე.

# საჭიროა გამოძიება

რამდენიმედ ფარდა ეხდება იმ ბოროტებას, რომელიც ბ. დავით ჩიქოვანმა აღნიშნა თავის შეკითხვაში. იმავ ბოროტ-მოქმედებას ეხება ვინმე —ჩელა, რომელმაც „სახალხო საქმის“ № 305 მოათავსა წერილი: „ორი მკვლელობა“.

ყოველგვარი მკვლელობა აშფოთებს ადამიანს, მაგრამ ის ორი მკვლელობა, რომელიც „სახალხო საქმის“ გუშინდელ ნომერშია აწერილი—არა ჩვეულებრივი ხასიათისაა.

ჩვენ სულაც არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ გვარდიელების და მილიციონერების ტანისამოსში გამოწყობილი პირები სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებას სჩადიან: ასეთის გზით რასაკვირველია, უფრო ადვილია ბოროტ მოქმედების ჩადენა. ისიც კარგათ ვიცით, რომ გვარდიაშიაც იმყოფებიან არა საიმედო პირები და ჩვენი სახელით ბევრი არამზადა მოქმედობს.

ასეთი არამზადა უნდა იყოს ის პირიც, რომელსაც ორი მკვლელობა ბრალდება.

ბ. —ჩელა ინიციალებით ასახელებს ამ ორი მკვლელობის ჩამდენს, მაგრამ თითონ ხსნის ფრჩხილებს: ის ყოფილა თფილისის საბჭოს ხმოსანი, თფილისის ხელზე მომამსახურეთა და სხვა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. გ—ძე. ამ პირს ჩვენ წრეებში კარგათ იცნობენ. „სახალხო საქმის“ თანამშრომელი ბ. —ჩელა დასძენს:

„აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ როდესაც ძმანი გ—ძენი დაპატიმრებული იყვნენ მე-8 სამილიციო კომისარის განკარგულებით ორი საათის შემდეგ მათ მოწერილობა მიიღეს მაღლიდან: წინადადებას გაძლევთ და სხვ. გ—ძე ჩვენთვის საჭირო კაცია და გაანთავისუფლეთო, რაც დაუყონებლივ იქნა შესრულებული“.

კომენტარიები მეტია. საჭიროა დაუყონებლივ ფარდა აეხადოს აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებას, საჭიროა სასტიკი გამოძიება და დამნაშავის დასჯა. წინადადებას ვაძლევთ „სახალხო საქმეს“ —აცნობოს მკითხველ საზოგადოებას ამ საქმის სრული ვითარება, რომ მიკიბმოკიბვით ტყუილ-უბრალოდ ჩირქი არ მოსცხოს ისეთ პირებს და დაწესებულებებს, რომელთაც არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

პრესა მოვალეა გაჰფანტოს ყოველგვარი გაუგებრობა, მთავრობამ კი ფორმალური გამოძიება უნდა დაიწყოს ამ საქმის შესახებ.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

14 აგვისტო.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. იპრის სამხრეთ დასავლეთით დილა ადრიდანვე ძლიერი სარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა ზარბაზნებმა მტრებს საშვალება მოუსპო წინ წამოწეულიყო. მერისის სამხრეთით ინგლისელების რამდენიმე იერიშები მოვიგერიეთ. ბრძოლაა ლაბანსის არხის ორივე მხარეს და სკარპსა და ანკრომს შორის. დილით ბრძოლის ფრონტზე სიწყნარე იყო. ანკრსა და ავრომს შორის სომმიდან სამხრეთით მტერი იერიშით მოვიდა. იერიში მოგერებულ იქნა. ამიენ-რუას ჩრდილოეთით საღამოთი მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიში. ავრსა და უაზს შორის მთელი დღე სასტიკი ბრძოლაა. მტერს აქ მოემატა ახალი დივიზიები. ავრას სამხრეთით დიდძალი ჯარით მოვიდენ დილით იერიშით, რომელიც მოვიგერიეთ და კონტრ-იერიშით უკან დავახევიეთ. ფიების ჩრდილოეთით აღმოსავლეთით ადგილობრივი ხასიათის შეტევა კარგათ დამთავრდა. რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ვენა.** ტიროლის მთა-გორიან ფრონტზე ჩვენმა მზვერავებმა მტერს ზარალი მიაყენეს. ფილტრეს ტერიტორიაზე მტრის აეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს, რამაც დიდათ დააფრთხო მცხოვრებნი და ბევრი მათგანიც იმსხვერპლა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტზე ბევრ ალაგას მტრის რაზმები გავრეკეთ. იორდანეს აღმოსავლეთით დრო გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. არის აგრეთვე საჰაერო ბრძოლა. სხვა ფრონტებზე სერიოზული ხასიათის შეტაკება არ მომხდარა.

**პარიჟი.** ფრანგთა ჯარებმა განაახლეს იერიშები მეტცის და უაზს შორის მდებარე ტყით მოფენილ ადგილებში. მიუხედავათ იმისა, რომ აქ გერმანელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ჩვენი ჯარები ველვიულამდე მივიდენ. შემდეგ კემბრონის ჩრდილოეთით ორი კილომეტრით წინ წაიწია ჩვენმა ჯარმა. ფრონტის სხვა ნაწილებში ცვლილება არ მომხდარა.

**ბერნი.** საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს სეკრეტარი გინტცე სახელმწიფო კანცლერთან მოსალაპარაკებლათ მთავარ ბანაკში გაემგზავრა.

# უკანასკნელი ცნობები

**ბადიაური** (კახ. გზ.).

სამხედრო მინისტრს ბადიაურიდან ჯავშნიანი მატარებლის უფროსი გოგუაძე დეპეშით ატყობინებს: რაზმს, რომელსაც დავალებული ქონდა იორის მარცხენა ნაპირის თათრებისაგან გაწმენდა, სროლა აუტეხეს. საღამოს 5 საათი და 30 წუთს მოგვეშველა ჯავშნიანი მატარებელი და ზარბაზნიდან 9 ყუმბარა გაისროლა. მოწინაალმდეგე გავდევნეთ მდინარის მეორე ნაპირას. ჩვენი მხრივ ერთი მძიმეთ დაჭრილია და ერთიც მსუბუქად. ხალხი მოითხოვს თათრების იარაღის აყრას და მზათ არის გამოვიდეს მათ საწინააღმდეგოთ. თუ ნებას მომცემთ, შეტევაზე გადავალ.

# ახალი ამბები

**ნავთი.** როგორც გამოირკვა საქართველოს მიწა-წყალზე ნავთიან ადგილების დამუშავება მისცემს დღეში 1000 ფუთ ნავთს. ზოგ რაიონში და განსაკუთრებით თელავში უკვე დაიწყეს ნავთის დამუშავება. დამუშავებული ნავთით პირველ რიგში დააკმაყოფილებენ რკინის გზებს, შემდეგ ტფილისის ქალაქის გამგეობას.

◆ **მთავრობაში.** თფილისის სასამართლო პალატის შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა დასაკმაყოფილებლათ იუსტიციის მინისტრს გაეხსნა საჭირო თანხა.

თფილისის ფიზიკურ ობსერვატორიისათვის გაეხსნა განათლების მინისტრს 27,400 მანეთი კრედიტი.

გზათა მინისტრის მოხსენებით საავტომობილო საქმის შესახებ დადასტურებულ იქნა გზათა მინისტრის აზრი, რომ ქალაქის კავშირისათვის საავტომობილო საქმის გადაცემა თანამედროვე პირობებში არ შეიძლება და მიზანშეწონილიც არ იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ფოსტა ტელეგრაფის შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად გადაიდო 500,000 მან.

ბათუმისა და ყარსის დაწესებულებანი აღიარებულ იქნა გაუქმებულად 1 იულისიდან.

სასამართლო პალატის შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცა სახელმწიფო კონტრალიორს თავისი აზრის წარსადგენათ.

სახალხო განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა საშუალო სატეხნიკო სასწავლებელისათვის გადაიდოს 51,804 მან. 93 კ. სასწავლებლის 1 ივნისიდან 1919 წლის 1 იანვრამდე შესანახად.

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით თფ. უფროსი ნოტარიუსის თანაშემწე გადაყენებულ იქნა თავის თანამდებობიდან და სამართალში იქნა მიცემული.

მარილზე მონოპოლიის შემოღების შესახებ დადგენილ იქნა მიენდოს სასურსათო სამინისტროს მოაწყოს სოფლად მარილის პურზე გაცვლა, ხოლო მარილის მონოპოლიის შემოღების შესახებ საკითხის გასინჯვა მიენდო ფინანსთა სამინისტროს.

◆ **ტრამვაის მოძრაობა.** [...] საქართველოს სხვადასხვა [...] მოეპოვება, ხე[...] ათასი ფუთი [...] ნის სადგურ[...] დროზე ვერ მიეწყო, ტრამვაის [...]ობა თფილისში შესწყდება.

◆ **სათბობი მასალის შესახებ** [...]თული თათბირის გამოანგარიშებით ხეთის რკინის გზას თვეში დასჭირ[...] 90,000 ფუთი ქვანახშირი, სახ[...] გზებს კი—1 მილიონი ფუთი. თათბირმა დაადგინა კახეთის რკინის გზის [...] პირობა დაკმაყოფილებულ იქნას, [...] განაც მისი შეჩერება შეუძლებელია, [...] ხაზინო გზებს კი შეძლებისა დაგვ[...] დაეთმოს ქვანახშირი.

◆ **ის. რამიშვილის მოხსენება.** ისიდორე რამიშვილი ჩამოვიდა სოხ[...]დან და 13 აგვისტოს მოხსენება გა[...] თა საქართველოს ეროვნულ საბჭო[...] დემოკრატიულ ფრაქციაში სოხუმ[...] ბების შესახებ. მომხსენებელმა ვრც[...] აღნიშნა სამურზაყანოს და აფხაზ[...] მდგომარეობა ღ მათი საქართველოს რესპუბლიკასთან დამოკიდებულება. ფ[...] ციამ დაავალა ამხ. რამიშვილს ასე[...] მოხსენება გაუკეთოს მთავრობას და ხალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

◆ **ფინანსთა სამინისტროს** კანცე[...] რიის დირექტორად დაინიშნა ს. დ. [...] ტურიშვილი.

◆ **ტყიბულის ქვა-ნახშირი.** გე[...] ნიის საიმპერატორო საელჩოს სამ[...] ნეო განყოფილების წევრს ინჟინერ-გ[...] ლოგს დოქტორ პფეთს სთხოვა ფი[...] სთა და ვაჭრობა-მრეწველობის [...] ნისტრმა გამოიკვლიოს ტყიბულის [...] ნახშირის მაღაროების ქვედა ნაწი[...] რომ გაიგოს, თუ რამდენად შესაძლ[...] ლია ამ მაღაროების უფრო ღრმად [...] მუშავება, ზოგიერთების აზრით ამ მა[...] როებში დიდ ძალი ნახშირია, რომე[...] თავისი თვისებით დონის და ინგლის[...] ქვა-ნახშირს არ ჩამოუვარდება.

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა პრო[...]** სიონალურ კავშირის გამგეობამ 13 [...] ვისტოს სხდომაზე შემდეგი დაადგი[...] ვინაიდან კავშირის წევრებს შორ[...] არევ დარევა ხდება უქმე დღეების გამ[...] ამიტომ გამგეობა აცხადებს თავის წ[...] რების საყურადღებოთ, რომ ყველა [...] უქმე დღეები, რომელიც ნაჩვენებია ტ[...] რიფში უნდა იუქმონ ახალი სტილ[...] თანახმად.

◆ **სახელმწიფო ბანკი.** გაზეთებ[...] მოთავსებული ცნობა, სახელმწიფო ბა[...] კის ლიკვიდაციის შესახებ სიმართლ[...] მოკლებულია. ამ დროებით ხდება ბა[...] თუმის განყოფილების ლიკვიდაცია; რა[...] შეეხება სახელმწიფო ბანკს, მასში არა[...] ვითარი ცვლილება არ ხდება და სანა[...] საქართველოს ნაციონალური ბანკი ა[...] შესდგება, სახელმწიფო ბანკის ლიკვი[...] დაციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

◆ **სახაზინო რკინის გზების,** სამტრედიის, ფოთის, ნატანებისა და ყვირილის ნაწილებში მოძრაობა უკვე ქვანახშირით სწარმოებს; 15 აგვისტოდან ყველა სახაზინო და კახეთის რკინის გზის ყველა ნაწილებში შავი-ქვითვე იქნება მოძრაობა.

◆ **მუშათა კლუბში** მიწვეულია კარგი არტისტები. საზოგადოება ბლომათ დადის. ახლო მომავალში აპირობენ გახსნან იაფ ფასიანი სასადილო.

◆ **სახალხო გვარდიელთა კრება.** ფაბრიკა „მირ“-ში დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მესამე რაიონის (ავლაბრის) სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას; ბევრი საყურადღებო კითხვებია გასარჩევი. დაესწრება ვ. ჯუღელი.

**კრებები და მიტინგები**

დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება მეორე კოლექტივის სხდომა.

— დღეს საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს საღამოს 5 საათზე რაიონულ შტაბში დანიშნულია ორთაჭალის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული კითხვები. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ.

— ხუთშაბათს, 15 აგვისტოს საღ. 7 საათზე მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია მე-4 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— პარასკევს, 16 აგვისტოს საღ. 7 საათზე მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. 3) დანიშნულია მე-4 რაიონის ქალთა სოც.-დემ. ორგანიზაციის კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**დ. ხობი.** 6 აგვისტოს დილიდან ბალშევიკურმა „ბანდებმა“ სამეგრელოს ცნობილ ყაჩაღთა მეთაურობით და მონაწილეობით ალყა შემოარტყეს ხობს და დაუშინეს ტყვია. ბრძოლის მესამე დღეს, 8 აგვისტოს, ჩვენმა ჯარმა შეადლისას დასტოვა დაბა სტრატეგიულ მოსაზრებით. ამით ისარგებლეს „ბალშევიკ-ყაჩაღებმა“, შეცვივდენ ქალაქში და გაძარცვეს იგი. ერთი საათი არ დასცალდათ, ისეთი საშინელი ცეცხლი დაუშინა ჩვენმა არტილერიამ, ზუგდიდიდან მოსულმა. ბალშევიკები უწესოთ გაიფანტენ, თან ტომრებით ძლივს მიათრევდენ ნადავლს. მეთაურებმა წაიყვანეს დატვირთული ცხენები. გაძარცულია და აწიოკებულია აგრეთვე სოფელი.



# იაკობ გასპაროვი.

…ივლისს მე-4 რაიონის წითელ-გვარ…ლი იაკობ გასპაროვი დაიღუპა მდ. …ვში, როდესაც ის თავის მოვალეობას …ასრულებდა, როგორც წითელ-გვარ…ლი, დუშეთის ექსპედიციის მონაწილე. …აკობი იყო ერთი ძველი მუშათაგანი, …ნი პარტიის წევრი, მუდამ მხიარული, …ლადებული და სიცოცხლის შემტანი …ლგან, სადაც კი ყოფნა უხდებოდა.

…პატარაობიდანვე უხდება მას ბოზარ…ანცის თუთუნის ქარხანაში მუშაობა …მის ნორჩ აგებულობას სუნთქვა ქარ…ს ჰაერისა. აი აქ იწრთობოდა მომა…ლი რევოლიუციონერის და თავდადე…ლი მუშის სული. 1903 წელს გაფიცვა …ი ბოზარჯიანცის ქარხნის მუშების …ჯერ პატარა იაკობმა, სულ 15 წლი…, ამხანაგების ყურადღება და პატივი …იმსახურა. 1905 წელს ვერის კოლექ…ვის წევრად ირჩევენ. კოლექტივმა კი …ამოირჩია ჯარის-კაცებში მომუშავე …მისიის წევრათ, სადაც შეუდარებელი …განიზატორული ნიჭი გამოიჩინა. ამავე …ოს ის იყო კოლექტივთან არსებული …ბრძოლი რაზმის წევრი და არ ყოფილა …ც ერთი შემთხვევა, როგორც ამ ორ…ნიზაციის წევრს, რომ რომელიმე და…ლება არ აესრულებინოს, იგი მუდამ …თი პირველთაგანი იყო ხოლმე. 1907 …ს იგი ერთ-ერთ კრებაზე სხვა ამხა…გებთან ერთად დატუსაღებულ იქნა …ადმინისტრატიულად გადასახლებულ …ხანგელის გუბერნიაში სამხედრო წე…ბის მოხსნამდის. ამხანაგი ვერ შეუ…ვდა სხვა მხარეში ყოფნას, ამხანაგების …მორებას, და 1908 წელს გამოიპარა …იდან, ჩამოვიდა თავის ქვეყანაში თა…ს ამხანაგებთან და შეუდგა ისევ სა…რეულ პარტიულ მუშაობას. მაგ…მ მთავრობის ჯალათებმა მას სა…ალება არ მისცეს დიდ ხანს აქ …შაობისა და სამი თვის შემდეგ მეო…დ დაიჭირეს და გადაასახლეს ისევ …ხანგელსკის გუბერნიაში უფრო შორს. …მდეგ გადმოიყვანეს როსტოვში, სა…ც დარჩა რევოლიუციამდის და რე…ლიუციის მიერ განთავისუფლებული …მოვიდა თუ არა, მაშინვე ჩაება პარ…იულ მუშაობაში და დაიბადა თუ არა …ი წითელი გვარდიის შედგენისა, …კობი ერთი პირველთაგანი იყო, რო…მელმაც სურვილი განაცხადა გვარდიაში …სვლისა. იღებდა მონაწილეობას სა…ხლოს ბრძოლაში, ცხინვალის გამოს…ლაში და დუშეთის ექსპედიციაში, სა…ც დაათავა თავისი სიცოცხლე, რო…რც საუკეთესო მებრძოლმა. ჩვენ გა…მარჯვეთ, მაგრამ ამხანაგმა იაკობმა …ვერ ნახა ეს გამარჯვება. იაკობი წი…დ ეკუთვნოდა ბალშევიკთა ფრაქციას, …ებაზედ თუ კერძოთ ლაპარაკში ის …უკეთესო დამცველი იყო, როგორც …აქტიკოსი, საღი ბალშევიზმის, მაგრამ …რგა ხანია მან ზურგი შეაქცია იმ …ალშევიზმს", რომელმაც დაღუპა მთე…ი რუსეთი და დაღუპას უპირობდა …ართველოსაც. მას ბევრჯელ უთქვამს, …მ, ეს „ბალშევიზმი" წინამორბედია …ნარქიზმის და არ შემიძლიან ასეთ …ალშევიზმს არ შევებრძოლოო. დაე …მაგალითი იყოს ზოგზოგი ჩვენი ამ…ნაგებისათვის, რომელნიც თავიანთი …უფიქრებლობით ღუპავენ რევოლიუ…ას. საღი ინსტიქტი შეგნებული მუში…ალოს უნდა უღებდეს საქმის ნამ…ვილ მდგომარეობას და არ გაჰყვებო…ს ცარიელ დემაგოგიას.

8 აგვისტოს შესდგა საზოგადო კრება …ის სახალხო გვარდიელთა დუშეთის …რაციის შემდეგ. ეს პირველი საზო…დო კრება არის, ფეხზე ადგომით პა…ივისცა იაკობის ხსოვნას საზოგადო …რებამ. დაადგინა: 1) გაზეთში მოათავ…ს მისი სურათი და წერილი მის შე…ხებ, 2) ხუთშაბათს, 15 აგვისტოს, გა…ადოს მის საფლავზე სამოქალაქო …შვიდი და 3) მის სახელობაზე ორა…მანეთი შესწიროს ვერის სახალხო …ივერსიტეტის განყოფილებას, რომე…ც უნდა გაიხსნას ამ დღეებში.

ამხანაგო იაკობ! შენ სინდისიერად …ასრულე შენი მოქალაქეობრივი მოვა…ეობა. გული დაგვწყვიტა მუდამ მხია…ლი ამხანაგის ჩვენგან გამოკლებამ, …გრამ ამხანაგო შენ მოგვშორდი ხორ…ელად, შენი სპეტაკი სული კი მუდამ …ნთან იქნება და გაძლევთ სიტყვას იმ …როშას, რომელსაც შენ შესწირე თავი …მივიტანთ აღთქმის ქვეყანამდე, ანდა …ნც შენებრ დავიხოცებით.

საზოგადო კრების მინდობილებით …ზერილაშვილი, ს. არეშიძე, რ. კე…ხელიძე.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

13 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

მდივანი აქვეყნებს მთელ რიგ კანონ-პროექტებისას, რომელიც საბჭომ გადასცა სათანადო კომისიებში. შემდეგ მდივანი კითხულობს დღის წეს-რიგს. წეს-რიგის შესახებ სიტყვას თხოულობს მ. ფაჩუაშვილი, რომელიც ამბობს, რომ სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტები რეგულიარული ჯარის შევსების შესახებ ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხია, ფრაქციებმა ეს კანონ-პროექტები გვიან მიიღეს და ვერ მოასწრეს მისი განხილვა გარჩევა, ამიტომ ს.-რევოლიუციონერთა ფრაქცია მოითხოვს ამ კანონ-პროექტის განხილვა გადაიდვას შემდეგი კრებისთვის.

თავმჯდომარე. კანონ-პროექტები დიდი ხანია რაც ფრაქციებს დაეგზავნა, კომისიაშიც ირჩეოდა და თუ რომელიმე ფრაქციას არ ჰყავს თავისი წარმომადგენელი იქ, ეს სხვა საქმეა. საკითხი მნიშვნელოვანია, ამას აღიარებს კომისია, მინისტრი და ზოგიერთი ფრაქციაც და ამიტომ დაისვა დღეს დღის წეს-რიგში. საბჭომ თუ მოისურვა კანონ-პროექტის გადადება, მაშინ რა თქმა უნდა გადაიდება.

რ. გაბაშვილი. გადადება ამ კანონ-პროექტისა ყოვლად შეუძლებელი, მაგრამ მე მოვითხოვ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას განხილული ჩვენი ფრაქციის შეკითხვა რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ, რადგანაც ეს საკითხი მეტის-მეტად სერიოზულია და სასწრაფო. წინადადებას ვიძლევი პირველ რიგში იქნეს განხილული სამხედრო კანონ-პროექტი და შემდეგ ჩვენი შეკითხვა.

ს. დადიანი (ს.-ფ.). ს.-ფედერალისტთა ფრაქცია იღებს რა მხედველობაში დღევანდელ მდგომარეობას, შეუძლებლად მიაჩნია ამ კანონ-პროექტის განხილვის გადადება. ეს კანონ-პროექტები დღემდე უნდა განხილულიყო, მაგრამ ამას ხელს უშლიდა სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზები, რადგანაც ეხლა ეს დამაბრკოლებელი მიზეზები ძლეულია, გადადება შეუძლებელია.

გ. გიორგაძე (სამხ. მინისტრი), მთავრობის სახელით უნდა განვაცხადო, რომ იმ პირობებში ჯარის დატოვება, რომელშიდაც ის დღეს არის, ყოვლად შეუძლებელია. უკვე ყველამ გაიგო, რომ ჩვენ ვახდენთ რაღაც რეორგანიზაციას, მაგრამ როგორ და რა გზით,—ეს არავინ იცის, ამით ყველა დაინტერესებულია. ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა უნდა გაიფანტოს, რადგანაც მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი გაურკვევლობა დამღუპველია მოქმედებისათვის. ამიტომ ეროვნულმა საბჭომ უნდა დღესვე გადასჭრას ეს საკითხები, რომ მთავრობას საშუალება ჰქონდეს აწარმოვოს თავდაცვის საქმე.

კენჭის ყრით საბჭო დღის წეს-რიგს უცვლელად სტოვებს.

ს. ჩიგოგიძე (ს.-რ.). კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ-პროექტების საბოლოო რედაქციას. საბჭო ამტკიცებს სარედაქციო შესწორებებს.

საბჭო გადადის სამხედრო კანონ პროექტების განხილვაზე, რომელიც ხდება დახურულ კარებში.

აკ. ს—უა.

# სამწუხარო მოვლენა

თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ერთ-ერთ განყოფილებაში საქმე მქონდა. ძალა-უნებურათ მოწამე გავხდი შემდეგი საუბარისა. ერთი ქალიშვილი ეუბნება მეორეს: „დედამ ამას წინათ ქუთაისიდან ფული გამომიგზავნა ფოსტით. რამოდენიმე დღის შემდეგ თვითონაც ჩამოვიდა. მე მხოლოდ მაშინ გავიგე ფულის გამოგზავნა. წაველი, ვიკითხე, ფული მართლა იყო ჩემს სახელზე მოსული, მაგრამ არავის თავი არ შეეწუხებია უწყების გამოგზავნისათვის, რომ არ მეკითხა, ვინ იცის,—როდის ვეღირსებოდი მიღებას. ფული მივიღე. გავიდა ხანი და უწყება შემდეგ მომივიდა".

მეორემ შესჩივლა: „მე ფულის გამოგზავნით არავინ მწყალობს და უწყების დაგვიანება არც მაწუხებს, მაგრამ ერთი გუბერნიიდან რომ მოსაზღვრე გუბერნიამდე ბარათი ერთი კვირა და ხან მეტსაც მოგზაურობს, ამან კი მოთმინებიდან გამომიყვანაო".

ამგვარი საყვედურები სხვებისაგანაც მოგვისმენია. ნუ თუ მართლა იმდენ დაუდევრობას იჩენენ ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურენი ამ ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში, რომ კორესპონდენციების მიტან მოტანის საქმე სასურველათ ვერ მოუწესრიგებიათ? მე კი მჯერა, რომ ამ საქმის მოწყობა შესაძლებელია, რასაც იმედია ყურადღება ექნება მიქცეული ვისგანაც ჯერ არს.

აგ—რე.

# დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

5 აგვისტო. ქინვალის რაიონი სამუზეუმო ძეგლს წარმოადგენს. ბევრმა სოფელმა ჯერაც არ იცის, რომ რუსეთი დაქუცმაცდა, რომ გამოცხადებულია საქართველოს დამოუკიდებლობა. მათ ყურამდის ჯერაც არ მისულა, რომ ჩვენს მთავრობაში ქართველი სოციალისტები შედიან.

სოფ. გუდრუხში ერთი გლეხი ცნობის მოყვარეობით შემეკითხა: ჩვენი მთავრობის უფროსი ისევ კერენსკი არისო?

— რის კერენსკი, რა კერენსკი ახლა ლემენცებისაგან შესდგება ჩვენი მთავრობაო—ისეთის დაბეჯითებით გაუსწორა სიტყვა მეორემ, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს და შეემოწმებინოს ეს ამბავი.

სოფ. გუდრუხისთვის ჩემი მისვლა ერთგვარი ისტორიული ამბავი იყო. ძველს დროშიც და ახლაც ერთობაზე ბევრს ლაპარაკობენ, ბევრი მოქადაგე დაიარებოდა სოფლად და ჩვენსა დღემდე არავინ მოსულა, თქვენ პირველი ხართო. ალბად ამ უცხოობის ბრალი იყო, რომ გუდრუხელები თავიანთს ოცის თავებსაც არ უჯერებდნენ და ვერა ჰბედავდნენ კრებაზე მოსვლას. ერთმა თამამად გადმოსძახა ოცის თავს: რად უნდა შევიკრიბნეთ, ვინ არის ეგა, იქნება ყაჩაღიაო.

ეს ბიჭი ჩამოვიდა და სულ ილიმებოდა, როცა ჩემს სიტყვას უსმენდა და რწმუნდებოდა, რომ საყაჩაღოს არას ვამბობდი. გუდრუხელები მთავრობისაგან თხოულობენ მიწების განაწილების დაჩქარებას, რადგან ახლა რაკი სამართალი არაა სოფლად, ჩამორთმეული მიწებით ისა სარგებლობს, ვინც უფრო შეძლებულია, თავხედი და მოძალადე.

— მთავრობამ დიდი სისასტიკე უნდა გამოიჩინოს თუ ჰსურს საქმის მოგვარებაო—მითხრა ერთმა მოხუცმა—ამ ხალხში დაყვავებით არა გაკეთდება რა. ვენაცვალე შიშსა, შიში ჰბადებს სიყვარულსა და მორჩილებასაცაო.

6 აგვისტო. იმ აჯანყების ქარტეხილს, რომელმაც დუშეთის მაზრას გადაურბინა—ძალიან მოუწამლია ქვემო მხარის სოფლები. მათ შორის ბულაჩაურიც.

მე ვნაღვლობდი, რომ ხორხის მცხოვრებნი ასე გაველურებულნი არიან. უცოდინარობა ღვთაებრივ ნიშნად მიაჩნიათ და არა სცდილობენ—თავი დააღწიონ ასეთს მდგომარეობას.

ბულაჩაურის კრებაზე რომ „გამომეკამათნენ" ზოგიერთი ვაჟბატონები—განგებას მადლობა შევსწირე, რომ ხორხი არ დამსგავსებია ბარს, არ მიუღია მათგან „განათლების" ნაყოფი.

თუ ზოგს სოფელში ახლა მაინც მიჰხვდნენ და დარწმუნდნენ, რომ შესცდნენ, მთავრობას ტყუილად გადაუდგნენ—აქ ზოგიერთი ისევ განაგრძობს ძველებურად პროვოკაციულ ხმების გავრცელებას. ბულაჩაურის კრებაზე ყველას გადააჭარბეს თავიანთი სითავხედით შაშაბურის გლეხმა გიორგი ცოცხალაშვილმა და ძაგნაკორელ ოსმა გიორგი დრიაშვილმა.

მთელი ორი საათი კრებას ველაპარაკებოდი მთავრობის მოქმედებაზე, გვარდიის დანიშნულებაზე და ვაცნობებდი ფარულ განზრახვას იმ მტერთა, რომელნიც აწყობენ დუშეთის, ცხინვალის, რაჭა-ლეჩხუმის და სხვა ამბოხებებს. ცოცხალაშვილმა და დრიაშვილმა უცბად მომმართეს უკმეხი სიტყვით:

— კნიაზო, ახლა ჩვენ გვათქმევინეთ ჩვენი აზრი. რამდენიც უნდა გველაპარაკოთ, მაინც ვერ გადაგვაჯერებთ, რომ მთავრობა თავად-აზნაურულია, გვარდია მოსყიდულია. მაშ საიდან აძლევენ გვარდიელებს დღეში თუმანსა და ორ თუმანსაო.

ნათქვამის დამტკიცება ამ ვერაგებისთვის არ არსებობდა. მათი საბუთი მარტოოდენ ყვირილი იყო და მთავრობისთვის შეურაცხმყოფელ სახელწოდება. მე იგინი ღვინით მთვრალნი მეგონენ—ნამდვილად კი სიბოროტის ღვარძლს დაეთრო და ის ალაპარაკებდა ასე ალმაშფოთრად.

— ტყუილად ესარჩლებით მთავრობას. მას რომ ხალხისთვის სიკეთე ნდომოდა ჯარს ნებას არ მისცემდა ზარბაზნები დაეშინა სოფლებისთვის, გაეძარცვათ, ქალებისთვის ნამუსი აეხადნათ. მათ არც ბალაჩაური დასტოვეს და წაილეს ზოგისა ქვაბი, ზოგისა საათი, დანა-ჩანგალი, ვერცხლის კოვზები, მასრები, ფეხსაცმელიო.

ოსმა გიორგი დრიაშვილმა „პატრიოტობაც" კი გამოიჩინა და სთქვა: ვიდაც ოხერი იმერლები მოედინენ ჩვენს ქვეყანას, იარაღს ეზიდებიან იმერეთში, გვიმონებენ და გვიჩაგრავენო.

ყოფილა, ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა! ოსიც კი იმერლებს ქართველთა წრიდან ჰრიცხავს და ანათემას უცხადებს.

აქ მხოლოდ ორიოდე ისიც მშრალი სიტყვა მომყავს ამ ვაჟბატონებისა. კრებაზე კი ისე თამამათ იქცეოდენ, თითქოს ჩვენ კი არა, ისინი ყოფილიყვენ გამარჯვებულნი. მარჯვენიდან მუქარასაც კი ჰბედავდენ... ნება-უნებლიეთ თვალწინ გამირბინეს ვერაგულად დახოცილ რიკაძის, ბელოხაშვილის და სხვა ამხანაგების აჩრდილებმა. ასეთი პირების მსხვერპლნი შეიქნენ განსვენებულნი. ვნანობდი, რომ ასეთს ოხრებს გადავუშალე გული, სიყვარულით ვესაუბრე. გაუთვალისწინე ის ლამაზი ცხოვრება, რომელსაც შეჰქმნის უბადლო ხურით მოძღვარი—ქართველი მშრომელი ხალხი.

აქ მარტო შეუგნებლობა არაფერს შუაშია. შეუგნებელნი უკვე მიჰხვდნენ თავიანთს შეცდომას, დაინახეს ის უფსკრული, საითკენაც მიექანებოდენ და თანვე მიაქანებდნენ მშრომელი ხალხის კეთილდღეობას და სირცხვილით იწვიან, ჰნანობენ დიდად.

ეს ვაჟბატონები კი ის შხამიანი ფესვები არიან, რომელნიც ხელ-ახლა ამოიყრიან ყლორტებს თუ მთლად არ აღმოვფხვრით. გიორგი ცოცხალაშვილი ეხლა-ხან დუშეთის ციხეში მჯდარა, როგორც აჯანყებაში მონაწილეობის მიმღები, მაგრამ თავი მოუკატუნებია ცამდე მართლად გაცნობებია და გაუნთავისუფლებიათ. დიდი შეცდომა მოჰსვლია სასამართლოს. ეს ცოცხალაშვილი მოსიარულე დეპეშათ არის გადაქცეული და ჰკვებავს ხალხს ახალ-ახალ ჭორებით.

ამ ორი „ლიდერის" ნალაპარაკევს ადასტურებდა თითო-ოროლა ბულაჩაურელი ჯარისკაცი. აჯანყებულებს ისინი ფასანაურამდის მიჰყოლიან და რაკი დარწმუნდნენ, რომ საქმე წაგებულია—უკანვე დაბრუნებულან.

ბულაჩაურის რაიონში ჯერ-ჯერობით პროპაგანდისტი ვერას გააწყობს. განათვით სოფელში კი არ არის ფრიად შეგნებული პირი, მაგრამ იგი ისევე მტრად მიაჩნიათ, როგორც გვარდიელნი. ბულაჩაურშია, მაგალითად ამხანაგი ანდრია ვეშაგური. ერთობის კაცობისთვის იგი ნატანჯია, როგორც სხვა ჩვენი გადასახლებული ამხანაგები... ორგანიზაციებში ნამუშევარიც არის და მშვენივრად შეუძლიან უწინამძღვროს თავისს საზოგადოებას. აჯანყების დროს იგი ძლივს გადარჩა სიკვდილს. აჯანყებულებს ერთს ღრმა ორმოში სდომებიათ მისი გადაჩეხა, მაგრამ როგორღაც გადარჩენილა.

ბულაჩაურში მიწის საკითხზედაც მქონდა ლაპარაკი. როცა გაიგეს, რომ მსხვილს მემამულეებს დაუტოვებენ 7 დესეტინა ვენახს, ან 15 დესეტინა სახნავს—აღელდნენ.

— ვერ ვუყურებთ რასა სჩადიანო. კიდევ ამბობენ თავად-აზნაურობის მოსყიდულნი არა ვართო. თუ თავადებს 15 დესეტინა დაურჩინეს ჩვენ რაღა გვერგებაო.

ვაცხონეთ იმათი მამის სული, ვისაც არ მიუღია მიწების ჩამომრთმევი კომისია და კიბწის კვრით უფრენია, აგრე უნდა მაგათო.

როგორც ჰხედავთ, მთავრობას არავითარს ანგარიშს არ უწევენ. მათ უნდა იგრძნონ მთავრობის ძალა. თუ მთავრობამ არ ალაგმა გაქსუებული პირნი, სოფელში სულ ვერ შეგვესვლება და იმ ამხანაგებსაც გაუჭირდებათ სოფლად ყოფნა, რომელნიც დღემდე დარჩენილან და იტანენ ათას შეურაცხყოფას. ისიც საკვირველია, რომ ასეთი ამხანაგები ცოცხალი გადაგვირჩნენ. ანდრია ვეშაგურის გარდა გამხეცებულს აჯანყებულებს ძალიან გაუმწარებიათ შეგნებული გლეხი სანდრო ცოცხალაშვილი. იგი დაუჭერიათ და მიწა უჭმევიათ ძალით. ძველად ჯარის-კაცად ყოფნის დროს ერთმა აფიცერმა სილა გამარტყა, ცალი თვალი გამომთხარა—მაგრამ მაშინ მაინც ისე არ შევწუხებულვარ როგორც ახლა გამტანჯეს ამ ულმერთოებმაო, გულის ტკივილით შემომჩივლა ს. ცოცხალაშვილმა.

7 აგვისტო. რაიონში კომისარი თავი და თავია. თუ კომისარი არ ვარგა, ძნელად რასმე გააკეთებს პროპაგანდისტი.

საგურამოს რაიონში კარგა მიდის მუშაობა იმიტომ, რომ კომისრად საუკეთესო ამხანაგი გიორგი (ვანო) ტატიშვილი ჰყავთ. გ. ტატიშვილი თვისი რაიონის სოფლებს საკუთარი ხელივით იცნობს და ეს იმიტომ, რომ მუდამ დაიარება მათს შორის. არამც თუ საგურამოს რაიონში—არამედ ბაზალეთში, მჭადი ჯვარში, მუხრანში, ნატახტარში და სხვაგანაც კარგად იცნობენ. მისი შემწეობით და წინამძღოლობით შევძელით ამ აბობოქრებულს სოფლებში პირველად შესვლა. რამდენს დედაკაცს დაულოცნია ტატიშვილი, „ღმერთმა გახაროს შვილო, რომ შენი სოფლები არ ჩაჰყარე ამ არეულობაში და ჩვენ დაწიოკებულებს საშუალება მოგვეცი თავი შეგვეფარებინა საგურამოშიო".

კარგა იცნობს თავისს სოფლებს აგრეთვე ბაზალეთის კომისარი მიხაკო ქურციკაძე. ბაზალეთის რაიონშიაც იმიტომ გამიადვილდა მუშაობა. მ. ქურციკაძეს ხალხი ძალიან ენდობა და ამიტომ მეც ხალისით მისმენს და მიჯერებს, როცა იგი თანა მყავს.

სულ სხვაა ქინვალის რაიონი. სოფლებმა არც კი იციან, თუ ლ. უძილაური მათი კომისარია. კომისარი კანჯარივით უნდა დახტოდეს სოფლიდან-სოფლათ, რომ გააცნოს თავი, დაამშვიდოს გადარეული ხალხი, მოაწყოს სამართალი, ქინვალის კომისარი კი ჯერ სოფლად არ გასულა, თუმცა კარგა ხანია რაც ამოირჩიეს. რა მადლი აქვს ასეთს სამსახურს.

ასეთს რაიონში მეც გამიძნელდა მუშაობა. პირველად მილიციონერი გამატანა კომისარმა და მისი შემწეობით ცოტაოდენს ხალხს მაინც ვაგროვებდი. დამშორდა იგი და უფრო გამიძნელდა საქმე.

სოფ. ძეგნაკორაში სულ ვერ მოვახერხე კრების მოწვევა. ოცის თავები ვერ ვიპოვნე. მარტოდ მარტო მავალი ხან ერთს ოჯახს მივადგებოდი, ხან მეორეს თხოვნით შეკრებილიყვნენ. ყველა იმას მეუბნებოდა, რა დროს კრებაა, ან ვინა ხარ. შენ რომ კაი სული იყო ასე უსაქმოდ არ იხეტიალებდი, ნამგალი გეჭირებოდა და ყანის მკაში იქნებოდიო. მიუხედავად ხვეწნისა არავინ იკისრა ხალხის თავის მოყრა. თუ ყრილობა გინდა, თვით დაიარე კომლობრივ, ჩვენ არა გვცალიანო. ეს სოფელი შორი შორსაა გაშენებული და აბა როგორ შევიძლებდი კომლობრივ ჩამოვლას.

ძეგნაკორა ოსების სოფელია. ის გ. დრიაშვილი, რომელიც წუხელ ბულაჩაურში ამიყირავდა აქაურია.

ბულაჩაურში გავიგე, რომ აქ ამისთანა დრიაშვილები მრავალი ყოფილან. რაღაცას ტუტუნებენ, ჩოჩქოლობენ, რაღაცას აპირობენ. იარაღი ბლომადა ჰქონიათ მიმალული.

ძეგნაკორელებმა, რამდენადაც მომიხდა მათთან ლაპარაკი—მითხრეს: რად უნდა ჩავაბაროთ იარაღი, როცა ფულითა გვაქვს ნაყიდიო. მთავრობის შესახებ მათ სწორი არა იციან-რა.

„თუ შეგვეხვეწება მთავრობა, იქნება ვსცნათ როგორმე, თუ არა და ბრძანდებოდეს თავისთვისაო", ასეთი აზრი გამომაქვს მათი ლაპარაკიდან.

ჩემის აზრით ჩვენმა მთავრობამ რომ ხალხი დააფიცოს საქართველოს რესპუბლიკის ერთგულებაზე ძალიან კარგი იქნება. ამ გზით ხალხი ნება-უნებლიეთ გაეცნობა მომხდარ ამბებს და ეცოდინება თუ ვის უნდა ემორჩილებოდეს. ფიცს ხალხში ძალა არ დაუკარგნია და ის ცოტად თუ ბევრად შეჰბოჭავს ზოგიერთთა აღვირ-ახსნილობას.

რაკი დავატყე, რომ კრება ვერ მიხერხდებოდა და შეიძლება ისე შემომღამებოდა მთა-ადგილას, რომ სახლში არავის შევეწვივნე ღამის გასათევად, ამოვიოხრე და, თუმცა დაქანცული ვიყავი, კვლავ გაუდექი გზასა ლადა ლუდეზე თრევით დაბებრებული ფეხებით.

დ. თურდოსპირელი.

# ს.-დემ. პარტიაში

რკინის გზის სამმართველო. 13 აგვისტოს ამხ. ლომიძის თავმჯდომარეობით შესდგა სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივის სხდომა. სხდომამ პირველად მოისმინა ამხ. ლოგუას მოხსენება, რომელიც შეეხება მთავარ რკ. გზის კომიტეტის გადაწყვეტილებას, შესახებ 15 სექტემბრისთვის რკ. გზის მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობის მოწვევისა. რადგანაც ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხია გადასაჭრელი, ამიტომ საჭირო შეიქნა დელეგატთა ყრილობის მოწვევა, რომლის მოწვევაც მთავარ კომიტეტს გადაუწყვეტია სექტემბრის შუა რიცხვებისთვის. კოლექტივმა სცნო რა მთავარ კომიტეტის გადაწყვეტილება დროის შესაფერისად—გადასწყვიტა ყოველივე დახმარების აღმოჩენა ამ საქმეში. მასთანვე დაევალა ამხ. ლოგუას გაიგოს დაწვრილებით საარჩევნო პლატფორმა, მისი წეს-რიგი, რიცხვთა წარმომადგენლობა და სხვა ამ სიეზდის შესახებ, რის მერეც კოლექტივი შეუდგება ამ დარგში შესაფერისს მუშაობას.

მეორე კითხვათ კვლავ გაირჩა საკითხი შესახებ ახლად გამოჩეკილ ქართველ მოსამსახურეთა კავშირისა. ზოგიერთ კოლექტივის წევრთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბევრი აღმოჩნდა შეცდომით ჩაწერილი ამ კავშირში და ყველა მოითხოვს დაუყონებლივ ამოწერას. სხვათა შორის, გამოირკვა ისიც, რომ ამ კავშირის იდეოლოგები, უკეთ რომა ვსთქვათ ამ ნაბიჯით პოლიტიკურ პროფესიონალურ ორგანიზაციების გამთიშველები, ზურგს უკან ენერგიულ აგიტაციას ეწევიან, რომ არ გაუწიონ ანგარიში მთავარ კომიტეტის განკარგულებას ამ კავშირის შესახებ.

ხაქარელი მ.

თფილისი. 10 აგვისტოს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის მუშათა „იაჩეიკების" კრება. დღის წეს-რიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება პროფესიონალური კავშირის კომიტეტისა, სადგურებში მუშაობის გაუმჯობესება და უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიღება, სამკითხველოს გახსნა, ეკონომიური კრიზისი, სასურსათო საქმე. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერძენიშვილი. იგი შეეხო თუ, როგორ და რა ნაირად უნდა ვებრძოლოთ სადგურებში გამეფებულ უწესობას, თუ როგორ მოუღოთ ბოლო ზოგიერთ ვაჟბატონების უმზგავს მოქმედებას. ჩვენი მოვალეობაა აუხსნათ მუშებს, რომ [illegible] ბოლოთ ხეტიალი საქმეს დროს სასტიკათ აკრძალულია; ზოგიერთი [illegible] საათის სამუშაოს [illegible] ბევრი გაურბის [illegible] ბას, რაც არ შეშვენის [illegible] შებს. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ასამბაძემ, მან დაასურათა საქონლის მუშების უნუგეშო მდგომარეობა. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მუშები არ ასრულებენ თავის მოვალეობას და 8 საათის სამუშაოს ბოროტად იყენებენ, ვავალებთ კომიტეტს ერთი წევრი დანიშნოს საწყობებში კანტროლის გასაწევად." მუშების აუტანელი მდგომარეობის შესახებ გადასწყდა უკანასკნელად ეცნობოს ვისაც ჯერ არს, რომ ჯამაგირები დაუყონებლივ მოგვემატოს.

სადგურში სამკითხველოს გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერძენიშვილი. კრებამ ერთხმად დაადგინა გახსნას სადგურში სამკითხველო, რომელიც შეინახება კავშირის ფულით და კერძო შემოწირულებებით. დაავალეს კომიტეტს კავშირის წევრებში შეაგროვოს ერთდღიური თანხა სამკითხველოს გასახსნელად, სამკითხველოს უხელმძღვანელებს თვით კომიტეტი. მასთან კომიტეტი სთხოვს ამხანაგებს დ თანამოაზრეებს მოგვაწოდონ წიგნები. წიგნების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისის საქონლის სადგურის სამკითხველოს. დასასრულ სასურსათო კომისიაში აირჩიეს ამხ. გიორგი ღლონტი და ერ. ორმოცაძე.

ს. ქრისტინეშვილი.

# ჯარისკაცთა წერილები

დისციპლინა.

რეგულიარული ჯარის შექმნა დღეს მიზანია ჩვენთვის, როგორც საშუალება კი, ამისთვის აუცილებელია ჯარში დისციპლინის შემოღება.

დისციპლინა შესაძლებლათ ხდის ჯარის გაწრთვნას, აახლოვებს ჯარისკაცებს ერთმანეთთან და მით ჰქმნის ერთ მთლიან ძალას. რასაკვირველია, მე ფიქრადაც არ მომსვლია ძველი დისციპლინის აღდგენის საჭიროება, მაგრამ მიზნისთვის პატივისცემა და ყოველივე მისთვის საჭირო საქმის გაკეთება, უსათუოდ სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ჯარისკაცისთვის, ისე აფიცრისთვის. თუ თითეული სალდათი ჯარის დანიშნულებას პატივისცემით არ ეპყრობა და დაუყოვნებლივ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას,—ჯარიც ბრძოლის უნარს მოკლებულ ბრბოს სახეს ღებულობს. რუსეთის ჯარის დაშლა ამის უტყუარი მაგალითია.

თითოეულმა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ ღალატისთვის ის დასჯილი იქნება. ეს გარემოება არ მისცემს საშუალებას სხვებს გული აიცრუონ საქმეზე. უამისოთ ჯარი უძლური იქნება თუნდაც მეტი ნაწილი მისი შემადგენლობისა მამაცები იყვენ. ამის მაგალითები იყო ფრონტზე, როცა რამოდენიმე მშიშარის გამოქცევის შემდეგ სხვებიც ინსტიქტიურათ გამოჰყვენ უკან, სრულიად შეუგნებლათ, არც კი იცოდენ, თუ რაზე გარბოდენ.

დისციპლინა თანდათანობით უნდა იქნას შემოღებული, რადგანაც უცბათ ძნელი შესაჩვევია დისციპლინას უკვე გადაჩვეული ხალხი.

ამასთან, საჭიროა თვითეული ჯარისკაცი დარწმუნებული იყოს, რომ ყველა მისებრ პირობებში მყოფი სწევს შრომას ერის საკეთილდღეოთ და ვერაფერი ნაცნობობა, პროტექცია და ფული ვერ დაარღვევს საყოველთაო კანონს. ამ გარანტიის საშუალებით შეიძლება აიტანოს კაცმა ის რამოდენიმეთ უფლებრივი განსაზღვრა, რასაც გულისხმობს დისციპლინა. დისციპლინის აღგენის შესაძლებლობა დამოკიდებულია ჩვენი აფიცრობის შემადგენლობაზე და უნდა გულახდილათ ითქვას, ისინი არ დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე. აფიცრობის უმეტესობა ვერ იჩენს ჯარის შექმნისთვის საჭირო უნარს, რასაც აქვს თავისი მიზეზები. რომ კაცს მოსთხოვო თავის ენერგია საზოგადო საქმეს მოახმაროს, უპირველესად უნდა უზრუნველჰყო მატერიალურათ. თუ კი მას მატერიალურათ არ აკმაყოფილებს ერთი სამსახური, ის იძულებულია სხვა უკეთესი საშუალება გამონახოს თავის სარჩენათ ან ერთდროულათ იმუშაოს ორ ადგილზე, რაც ხელს შეუშლის მუშაობის ნაყოფიერებას. ასეთ პირობებში არიან დღეს აფიცრები მატერიალურათ, მაგალითად, პოდპორუჩიკი ღებულობს თვეში 280—320 მანეთს, რაც ერთ კაცს პურის ფულათაც არ ეყოფა. ამას თან ერთვის მათი უუფლებობა და მათდამი უნდობლობა, რის შედეგიც ან სამსახურიდან თავის დანებებაა, ან საქმისადმი გულგრილობა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მას აიძულებს ცხოვრების სიმწვავე. მცირე ჯამაგირებით დაკმაყოფილება ან საქმის არა მცოდნე, ან ზარმაცი კაცი, რომლებიც ამ საქმისთვის გამოუსადეგარი არიან.

ამიტომ აფიცრების სათანადო სიმაღ-

ლეზე დასაყენებლათ აუცილებლათ საჭიროა: 1) მათი ნივთიერათ უზრუნველყოფა და 2) მათი შემადგენლობის გაწმენდა საქმის არამცოდნე და არასაიმედო პირებისგან. გაწმენდილი შემადგენლობა მთავრობამ სრული ნდობით უნდა აღჭურვოს და შესაფერი უფლებებიც მისცეს, რათა მათი ხელქვეითები იძულებული იყვნენ მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულებინონ. დღევანდელი აფიცრების მდგომარეობა ჯარისკაცებში იმით არის აუტანელი, რომ აფიცერი გაუბედავათ ეპყრობა ჯარისკაცს. მან არ იცის, თუ როგორ მოეპყრას ჯარისკაცებს, რომ მათი ნდობა და მისდამი ხათრი დაიმსახუროს. ამიტომ ბევრი ჯარისკაცების მოყვარული სანდო და საქმის მცოდნე, მაგრამ ლაქუცობას მოკლებული პირები, დაუმსახურებელ საძულველს ღებულობენ ჯარისკაცებისაგან იმ დროს, როცა ლაქუცა და ტკბილი ლაპარაკის შემძლე მათში ნდობას იმსახურებს.

უნდა არსებობდეს კანონი, რომელშიც მარტივათ იქნება აღნუსხული თვითოეულის უფლება და მოვალეობა, ის პირები კი, რომლებიც გადაუხვევენ დაწესებულ კანონს, პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული.

დღეს მთავრობა, აფიცრობა და ჯარისკაცობა ძლიერ დაშორებულია ერთმანეთისგან, რის მიზეზითაც ხშირათ, აფიცრობა თავის მოვალეობას ივიწყებს და კერძო მაყურებლის ემსგავსება. ეს უდიდესი ნაკლია სამხედრო საქმეში, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. აფიცრობა უნდა დაუახლოვდეს ჯარისკაცს. თანდათანობით უნდა შეაჩვიოს მოვალეობის შესრულებას და აუსრულებლობისთვის ანგარიშიც მოსთხოვოს. მთავრობამ კი თავის დამოუკიდებელ კონტროლის ქვეშ უნდა დააყენოს ჯარის ნაწილების უფროსები და მით მოსპოს მათში ნებსით თუ უნებლიეთ გამეფებული ინდიფერენტიზმი.

მხოლოდ ზემო აღნიშნული საშუალებებით შეგვიძლია შევქმნათ მაგარი სამხედრო ძალა, ურომლისოდაც ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლებელია.

ჯარისკაცი **მ. მახარაძე.**

## საად.-მამულო რეფორმა

**გორის მაზრა.** ერთი უხეირო ნაბიჯი მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ და შესაძლებელია ეს ამოდენა მთელი გუბერნიის მაზრა დაუსრულებელ ანარქიის ქარ-ცეცხლში მოჰყვეს.

ამ ჟამათ გორის მაზრაში გლეხ-კაცობა შემდეგ აზრს იზიარებს: ჩამორთმეული მიწები დაურიგდეს მას კერძო საკუთრებათ. იმას, ვისაც ნადელი, ან შესყიდული მიწა ნორმათ უთავდება, აღარ მიეცეს მიწა. ამათ ქვევით, ჯერ უნდა დაკმაყოფილდეს ის, ვისაც სრულებით არ აქვს მიწა და შემდეგ საშუალო. იმ გლეხს, ვისაც ფული არ აქვს სასყიდელი და ხარ-კამეჩ-გუთანი, მთავრობა ეხმარება შეღავათიანი პირობით. გლეხკაცობა არც იმის წინააღმდეგია მიწის საკითხის ცხოვრებაში გასატარებლათ მთავრობისაგან დახარჯული ფული ანაზღაურებული იყოს მიწის მიმღებისაგან. არც სხვა გადასახადს გაურბის ჩვენი სოფლელი, მაგრამ შეძლებისა დაგვარათ კი უნდა გაიწეროს გადასახადი. გლეხი რწმუნდება თანდათან, რომ ანარქია და სოფლათ მოდებული უპასუხისმგებლო პირთა უშვერი აგიტაცია ხალხის მთავრობის და სახალხო გვარდიელთა წინააღმდეგ დროებითი იყო, გარდამავალი და ამ ჟამად ცხოვრება თავის კალაპოტში დგება. შეუძლიან მას თავისუფლათ ტყეში, უთოფოთ წავიდეს, გუთანი არხეინათ გაიტანოს მინდვრათ, გავიდეს ბაზარ ადგილას და თავისი ნაწარმოები გაყიდოს, დამცემი და ქურდბაცაცა დაუსჯელი არ რჩება მთავრობას, მიწის მიმღები კომისიები თავისას აგვარებენ და მის სასარგებლოთ გაჰყავთ მიწის კანონი. ნელ-ნელა ადმინისტრაციაც იწმინდება, ცუდი კომისრები შორდებიან და რიგიანი, სინდისიერი პიროვნებები დგებიან სათავეში. ამ ბოლო დროს სოფელს ვიღაცამ მოხედა. ეს სოფელში დაგზავნილი პროპაგანდისტებია, რომლებიც გულმტკივნეულათ შესდგომიან ანარქიისაგან დანგრეულ ორგანიზაციების აღდგენას. ეს ერობაც ამ მოკლე დროში გაცხოველდება და სოფელი დაისვენებს, მიეცემა მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებას. აღარ ექნება არსად ადგილი გაბულიგანებულ პროვოკატორთა გამოსვლებს: გათვითცნობიერებული სოფელი ხალხი თვითონ არ დაუშვებს ამას. ჯერ ეხლა გორის მაზრის გლეხკაცობა აშკარათ გრძნობს, რომ ჩამორთმეულ მამულებიდგან, რომელიც ფონდში გადავიდა ერთი მეათედი შემოსავლისა აუცილებლად მიწის კომიტეტებს უნდა გადაეცეს, ეს ხალხის საკუთ. სოფლელები მოდიან და გვეკითხებიან: ვინ არის პატრონი, რომ გადავცეთ მეათედი ხალხზედ გადმოსულ მამულების შემოსავლისა?

როგორც გავიგეთ, ამის შესახებ მილაპარაკებაა გამართული სამიწად მოქმედო და სასურსათო სამინისტროებს შორის. შედეგი ამ მოლაპარაკებისა უნდა დაჩქარდეს, რაც შეიძლება ადრე დაეგზავნოს ყველა სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს, რომ დროზედ შეუდგნენ ამ კარზედ მომდგარ ჭირნახულის მოგვარებას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ერთი თვე გაუშვით, სოფლელები დააბინავებენ ჭირნახულს, ზოგსაც გაჰყიდიან და მერე გვიანღა იქნება. ამის შესახებ გორის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტს შემდეგი გეგმა აქვს შემუშავებული: მთელი გორის მაზრა დაყოფილია 8 მთავარ რაიონათ, თითო რაიონს ჰყავს თავის ჭირნახულის ამკრები წარმომადგენელი, რომელსაც განზრახულია მიეცეს 400 მან. თვეში. აგრეთვე არის ორი მთავარი პუნქტი—საწყობი ქ. გორში და სად. გომში. მეჯვრისხევის, ქვემო ჭალის, ახალ-ქალაქის, ქარელის, ცხინვალის და მიხაილოვო-სურამის რაიონები კი დამაშარეებია. აპარატი მზათაა, ვისაც უნდა მოქმედება გამოიყენებს ხალხის საკეთილდღეოთ. სოფლად ყველა რევოლიუციონური ორგანიზაცია უნდა ამოძრავდეს პურის საკითხის გარშემო, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუციის ავანგარდი: ქალაქის მუშა, სახალხო გვარდია და რესპუბლიკის ჯარი შიმშილით სულს დალევს. თუ გული გაუტყდა ამ რევოლიუციის მატარებელ ღერძს, ამ ნიადაგზე აშენდება ათასნაირი პროვოკაცია და ამით სათავეშივე ჩაკვდება უკვე ახლად ფეხზე დამდგარი ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკანური მთავრობა. მაშინ მშვიდობით მიწავ და თავისუფლებავ. როგორ უყურებს სოფელი მთავრობისაგან დანიშნულ მიწის ჩამომრთმევ კომისიებს?

ამისათვის მე მოკლეთ თვალს გადავავლებ რომელ რაიონში რა გააკეთა ამ კომისიებმა და მათ მოქმედებას როგორ შეხვდა სოფელი.

ქარელის კომისია. თავმჯდომარეობს ი. ბოლქვაძე. მუშაობას შეუდგენ 24 მაისს ქარელიდანვე მიღებული აქვთ ახლო მახლო მემამულეების მიწები. საქმის რიგზე მოსაგვარებლად კომისიამ დაუძახა ახლო-მახლო სოფლელების წარმომადგენლებს. ადგილ მდებარეობისდაგვარათ შეუდგა გეგმის შედგენას, სოფლებიდან პატარ-პატარა კომისიების დაარსებას თვით ადგილობრივ გლეხებისაგან, 3 პირისაგან. აგრეთვე იქცეოდენ სხვა დანარჩენი კომისიებიც. საზოგადოთ უნდა ვთქვა, რომ მუშაობა კომისიების ძალიან ნაყოფიერათ მიმდინარეობს მთელ მაზრაში და სულ ცოტა ხანში მაზრის კომიტეტის განკარგულებაში გადავა ათი-ათასობით ჩამორთმეული მიწები ფონდში, რომელიც გადაეცემა გლეხებს. საჭიროა ენერგიული მომქმედი ორგანიზაციები, რომ ხალხის სასარგებლოთ გამოვიყენოთ ეს უკვდავება ადგილ მამული. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ მაზრაში ამ მხრივ გაჩაღებული მუშაობაა მიმღები კომისიების მიერ. ახალქალაქის, ქარელის, მეჯვრისხევის და ცხინვალის რაიონის მცხოვრებნი კომისიების მუშაობას ეპყრობიან სიმპატიურათ და ხალისიანათ უგდებენ ყურს მათ ახსნა-განმარტებას, აგრეთვე ხალისით აძლევენ მუშა ხელს და სხვა. სოფელ ქვემო ჭალის, გომის და მიხაილოვო-სურამის რაიონების გლეხები ცოტა არ იყოს კომისიების მოქმედებას ვერ უყურებენ კარგათ. ჯავის ხეობის ოსობა კი მტრულად უცქერის. თუმცა ამ ბოლო დროს იქიდანაც მოგვდის ამბავი, რომ იქაც თხოულობენ კომისიის მისვლას.

გორის მაზრის საადგილ მამულო კომიტეტის თავმ. **შაქრო ჯავახიშვილი.**

## პროვინცია

**ხაშური.** არსად ასე მწვავე ხასიათი არ მიუღია სანოვაგის გაძვირებას, როგორც ხაშურში. აქ არ არსებობს არავითარი ვაჭრობის წესი, ძლიერ გამწვავებული არის პურის საკითხი. აქ სოფლიდან ჩამოაქვთ პური და ნახევარ გირვანქიან პურს ჰყიდიან ოთხ-ხუთ მანეთად და იმასაც ფარულად; ამიტომ დიდ გაჭირვებას განიცდის ყველა, ვისაც საკუთარი პური არ აქვს აქ ყველაზე მეტს გაჭირვებას განიცდიან რკინის გზის მოსამსახურეების ის ნაწილი, რომლებიც არ არიან ადგილობრივი მცხოვრებნი. მოსამსახურეება ჯამაგირებიც ხვედრი არ მიუღიათ. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აუარესებს მათ მდგომარეობას. თუმცა აქ არსებობს რკინის გზის სასურსათო განყოფილება და ნახევარ გირვანქა პურს აძლევენ სულზე, მაგრამ ნახევარი მაინც უპუროთ რჩებოდა. ოთხ ამ თვიდან თეთომეტამდე პური არ გამოუცხვიათ, მიზეზი ფქვილის უქონლობა არის. ამიტომ კარგი იქნება ამხანაგები მიაქცევდენ ყურადღებას და სანამ მთლად არ გამოილევა ფქვილი, მანამდის შეიძინდენ და უზრუნველჰყოფდენ ამხანაგებს იმ ნახევარი გირვანქით მაინც.

სიძვირის მიზეზათ სოფლელები პროვოკატორების ჩაგონებით რკინისგზელებს ასახელებენ: თქვენი ბრალია, თქვენ ბურჟუაზიას იცავთო. გეი მის ა'ეთა ამბები და გული გიკვდება, რადგანაც დაუმსახურებელ ბრალდებას უყენებენ იმ ხალხს, რომლის კისერზე მთელი ომი-ანარქია და თვით რევოლუცია გადადის.

პატარა მეთვალყურე.

---

**აგარაკი ცემი.** მოაგარაკეთა რიცხვი ცემში ამ წელს ძლიერ მცირეა, რაც გაუგონელებული გადამდებ ავადმყოფობის შიშით აიხსნება. სანოვაგე მეტად ძვირი და ძნელი საშოვარია, რასაც ხელს განზრახ უწყობენ ადგილობრივი მცხოვრებნი. იციან, რომ მოაგარაკეებს მათ იქით სხვა სარი არა აქვთ საჭირო საგნების შოვნისა, და ამით სარგებლობენ. საარაკო ფას ადებენ ყოველივე საგანს. „თუ გსურს წაიღე, თორემ ჩვენ სავაჭროთ არა გვცალიაო"-ო—ასე ეუბნებიან მყიდველებს. ყველა ამას ემატება გადმოხვეწილ ჯავახელთა საშინელი მდგომარეობა, მათი აუტანელი გაჭირვება სულიერათ სტანჯავს ყოველ მოაგარაკეს.

ამას ვერ გრძნობს მხოლოდ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები, უმეტესად ყოფილი ჯარისკაცნი, რომელთაც სოფლად დღემდის კიდევ შერჩენიათ იარაღი. ყოველ დღე მთებში რამოდენიმე ათეულობით, ხან ასეულობითაც უმიზნოთ იწვის ვინტოვკის პატრონები.

გასროლილი ტყვიის ხმა, რაიც ათკეცდება მთებს სიმრავლით, სულ აწრიალებს თავის გესლიანი სისინით მთელ არემარეს. ქორწინების და სხვა დღეობის დროს ხომ სათვალავი არა აქვს დახარჯულ ტყვიას.

გასაკვირია სწორედ: ნუ თუ დღემდის ვერ შეიგნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ ასეთი საქციელი დასაძრახი და სამარცხვინოა მათთვის?! დავანებოთ იმას თავი, რომ თოფის და საერთოდ სამხედრო იარაღის ტარება ნება დაურთველად და მით უმეტეს, მათი ხმარება,—სასტიკათ აკრძალულია ყოველგან,—ბრმა ტყვიამ რომ უცაბედათ იმსხვერპლოს ან მოაგარაკე, ან ჯავახელთაგანი, რომელნიც გარშემო მდებარე ტყიან მთებს მოდებიან საცხოვრებლად,—მაშინ ზნეობრივად ხომ დაიტანჯებიან, ამ უბედურებისთვის თავის სინდისის წინაშე პასუხი ხომ უნდა აგონ მაინც, თუ მთავრობა ვერ აღმოაჩენს დამნაშავეს?! მაგრამ არა მგონია, რომ ამას მიხვდნენ! ამ შემთხვევაში საჭიროა მთავრობის ძალა, რომ ამ საძაგელ მოვლენას ბოლო მოეღოს.

თუ წელს ცემში მოაგარაკეთა რიცხვი ძლიერ მცირეა ავადმყოფობის შიშის გამო, მომავალში ეს ცემს ჩვეულებად გადაექცევა სულ სხვა მიზეზით.

აგარაკ ცემს უჭირავს მაღლობი ადგილი, ტყით ძლიერ ღარიბი. თუმცა გარშემო მდებარე მთები ტყით მეტად მდიდარია, მაგრამ მოაგარაკეებს ამ ტყეებით სარგებლობა სიშორის გამო არ შეუძლია. სიცხეში ცემელი მოაგარაკენი იფარავენ თავს ერთად-ერთ პატარა სუფთა ნაძვნარში, რომელსაც ცემის მაღლობის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს. მაგრამ, ადგილობრივ მცხოვრებლებს განუზრახავს ამ ტყის გაკაფვა და საყანე მიწებათ გადაქცევა, რასაც უკვე შესდგომიან. მართალია, ცემელებს ცოტა საყანე მიწა აქვთ და ეს ადგილი მხოლოდ ორ-სამ წელს კარგ მოსავალს მისცემს მათ, მაგრამ ამით მეტ ზარალს ნახავენ საერთოდ. როგორც კარგი შემოსავლიან აგარაკი, ცემი ამის შემდეგ დაეცემა და დაჰკარგავს თავის ღირებულებას. მე კიდევ მგონია, რომ ადგილობრივი წინდახედული პირნი ამას ყურადღებას მიაქცევენ და გადაარჩენენ ცემის საუკეთესო ნაწილს განადგურებისგან.

**სამა.**

---

**ნიგოითი** (გურია). 8 აგვისტოს აქ მოხდა მთელი საზოგადოების შეერთებული სასწრაფო კრება. დაესწრო ლანჩხუთის კომისარი ამხ. ერმ. ჩახვაძე, რომელმაც მოკლეთ გააცნო ყრილობას ახალი ადმინისტრატიული წესი სოფლის მთავრობის არჩევის, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: საზოგადოება კვლავ ახდენს ახალ არჩევნებს კომისარისას და აგრეთვე საზოგადოება ვალდებულია იყოლიოს 5 მილიციონერი. კომისარის და მილიციონერის ჯამაგირებს თვით მთავრობა კისრულობს, სოფლათ ნაცვლები და „სბორჩიკები" აღარ იქნებიან. მოხსენებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. მოხდა კომისარის არჩევნები. არჩეულ იქნა ერთხმად ლადიკო სამსონაძე. ამხ. ლადიკო სამსონაძე ამ ორი თვის წინათ გამოიცვალა ამ მოვალეობიდან, მაგრამ კარგი ნდობის დამსახურებით ხალხმა ისევ მას დააკისრა ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე. ამავე კრებამ მილიციონერების დაქირავება ადგილობრივ მთავრობას მიანდო. ამ საზოგადოებაში ერობის საარჩევნო სია უკვე დამთავრებულია და სიაში შეტანილია 500 ამრჩეველი.

ამ რაიონში მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს. გლეხები ძლიერ მხიარული არიან ამ მხრივ.

როგორც სამეგრელოში, მოგზაური სიმინდის მყიდველები გადმოგვცემენ, იქ თურმე სიმინდში ფულს აღარ ღებულობენ. აუცილებლათ უნდა ქონდეს კაცის გინდ ქალის ტანისამოსები, ან საათი, ქამარი, რევოლვერი და სხვა, ასეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ვიღაც გლეხს უკანასკნელი პერანგიც მიუცია რამდენიმე გირვანქა სიმინდში და თვითონ კი ბლუზის ამარა წამოსულა.

თოფკა.

---

**სოფ. ხოჭი** (სენაკის მაზრა). ამ სოფელში თავი იჩინა ბალშევიკურმა გამოსვლამ და უკვე აშკარათაც მოქმედებენ. არის მუდმივი თოფის სროლა სოფლებში, არ ერიდებიან არაფერს, არ ზოგავენ არც ქალს, არც ბავშვებს და ამ საშინელ მოქმედებით თავზარს სცემენ ბრბო გადავიდა მოსაზღვრე სოფლებში, გაძარცვეს ეკლესიები, მონასტრები და კოოპერატიული დაწესებულებები. შეიპყრეს სოფლის მილიციონერები, აჰყარეს იარაღი. ეს სოფელი სძევს ხუთი ვერსის დაშორებით სად. ქვალონზე. ბევრჯელ მოინდომეს სად. გურიისაკენ გამოლაშქრება, მაგრამ იქ იდგა ჯავშნიანი მატარებელი № 2 და იმისი ეშინოდათ. 7 აგვისტოს დილას მატარებელი გაემგზავრა მაზუთის მისაღებათ. გაიგეს ეს თუ არა, ბრბო თავს დაესხა სადგურ ქვალონს. პირველათ დაიჭირეს სადგურის უფროსი, რათა ცნობა არ გადმოეცა ჯავშნიან მატარებლისათვის და დაუწყეს მის სახლს ძარცვა, წაართვეს 300 მ. ფული და სხვა ბევრი ნივთები. მეტი რომ ვერაფერი იშოვეს, ერთმა მათგანმა ხუთი წლის ბავშვს ოქროს ჯვარი წაართვა. შეიპყრეს ადგილობრივი მილიციონერები, გაიტაცეს იარაღი, დაძარცვეს დუქნები. უკანასკნელი ტარანიც კი არ დაუტოვებიათ. ეს ამბავი მოხდა სულ ერთ საათში, შემდეგ მიიმალნენ.

ნიკოლოზ მახარაძე.

---

**ოზურგეთის რაიონი.** მუშათა ასოციაციის გამგეობის კრებაზე გამოირკვა, რომ დაქირავებულთათვის ამ რაიონში არავითარი შრომის პირობების ნორმა ფაქტიურათ არ არსებობს. მჭედლები მუშებს დღეში 11—12 საათს ამუშავებენ, ხელფასს არ უმატებენ, რკინეულობა კი მაინც საზღაპროთ გააძვირეს. ასოციაციის გამგეობა სცდილობს აღადგინოს ორგანიზაციები, შექნას ასატანი შრომის პირობები, ალაგმოს „ხაზეინების" უზომო მადა. —ლი.

## ცნობები

ვაშნაარში (გურია) ბრძოლის დროს მოკლულთა და უგზო უკვლოთ დაკარგულთა სახელი და გვარები: გამოჩინებულის საზოგადოებიდან (სამტრედიის რაიონი) მეორე პოლკის, მეთორმეტე როტის მოხალისენი. 1) ონოფრე გაგუა, 2) იოსებ გაგუა, 3) თედორე გაგუა, 4) ბარნაბა კუშელავა, 5) გიორგი ლორია, 6) ილიკო გოგლიჩიძე, 7) ათანასე კუტალაძე, 8) ბესარიონ გრიგოლია, 9) ტერენტი მსხილაძე, 10) ვასილ მერაბის ძე ქორიძე, 11) ივანე ძიგუა, 12) ალფესი ჩხაიძე, 13) პავლე ლორია, 14) ტიტიკო შანიძე, 15) ივაკი ლორია, 16) მეთოდე ლორია, 17) ფარნაოზ ივანეს-ძე კაკაძე, 18) ერმალო კაკაძე, 19) ნოე ივლიანის-ძე ნეფარიშვილი, 20) სერაფიონ ეცადიაშვილი, 21) ისიდორე ეცადიაშვილი, 22) რაფიელ შანიძე, 23) არსენ ბოკვაძე, 24) ნიკოლოზ ძნელაძე, 25) ვასილ გრიგოლია, 26) თედორე ჯაში, 27) რაჟდენ გრიგოლია, 28) გედეონ ძიგუა, 29) ტარასი ძიგუა, 30) ილარიონ გრიგოლია, 31) კობრავა სპირიდონ, 32) სერაპიონ ქორიძე, 33) ილიკო ქორიძე, 34) სამსონ ჯაში, 35) ნოე გეფერიძე, 36) ლუკა კოპალეიშვილი, 37) კარპეზ ქორიძე, 38) ილიკო ჩხაიძე, 39) პარმენ ეცადიაშვილი.

დაჭრილთა სია: ანდრო შანიძე, ირაკლი შენგელია, სევერიან ძიგუა, სერგო შანიძე, პლატონ ძიგუა, პავლე ჯიბლაძე, ევგენი თელია, ანტონ ქორიძე, რასიონ მსხილაძე. მშობლებთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ მთავრობის წინაშე არის აღძრული შუამდგომლობა, რათა გამოვარკვიოთ ტყვეების რაოდენობა ოსმალეთში.

ყოფილი როტის უფროსი **ვ. დოლიძე.**

---

გრიშა მაქსიმეს ძე რეკვავა სამხედრო ექიმი მსახურობდა 457 სათადარიგო გოსპიტალში ქ. ტრაპიზონში. რაც ეს ქალაქი ოსმალეთის ხელში გადავიდა იმის მერე არა ვიცითრა მისი. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ ქ. ბათუმში გერასიმე კარტოზიას.

---

ჯარისკაცი ვლადიმერ კოსტას-ძე დოლიძე მსახურებდა: კავკასიის მომქმედ ჯარში 66 დივიზიის „უჩებნაია კამანდაში" მე 262 ქვეით ქართულ ნაწილში. 10 თვეა რაც მშობლებმა არაფერი იციან. ვთხოვთ მის ნაცნობ-ამხანაგებს მაცნობონ თუ რამე იციან: სად. ნიგოითი, სოფელი ქვიანი, კოსტა მიქელის-ძე დოლიძეს.

## რკინის-გზის მიმოსვლა.

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თფილისიდან გავა:**

| (თფილისის დროით). | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9\|10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4\|3c | დღის | 1 | — |

**თფილისში მოვა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11\|12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4c\|3 | დილის | 11 | — |

## კერძო მიხეილის საავადმყოფო

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9–11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9 53. (24—6)

---

**ექიმი ი. გ. კონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—11)

---

## ქალ. ქუთაისში

(მიხეილის ქუჩაზე, ...) ქირურგიული და ქალთა სნეულ... საავადმყოფო ... ფილებით.

დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყ... დროს. (24—

---

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (...ბა) დამისი შედეგებით დასნეულ... სისხლის ნაკლებობით, გულისა, ...ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ...ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე ... მოთი 5–7 საათამდე. ელექტრ... და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № ... ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

---

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაზაშვ...**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ...სიტეტისა და ედინბურგის მედიკ... ოფერგიულ კოლლეჯისა. იღებს ყ... დღე შინაგან, ქალურ და ვენ... ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით ...გებას. სიფილისის წამლობა ახალ... თოდებით. დილის 10—12 ს. და ...მოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ... სახლი № 83. ტელ. № 9—26

---

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ... —9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქე... ქუჩა № 14.

---

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სა... 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა... სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ...ცერთა ეკონომიურ საზ. შენობის ... სვანიშვილისა. ტელ. № 5-...

---

## განცხადება
## ბორჯომის წყლის მყიდველების საყურადღებოთ

ჩვენს წარმომადგენლებთან როგორც თფილისში აგრეთვე ყველა საქართვე... რესპუბლიკის ქალაქებში იყიდება ბორჯომის წყალი დიდი ბოთლი თავისი ბო... ლიანათ არა უმეტეს ორი მანეთისა. აგრეთვე ვაცხადებთ წვრილი მოვაჭრე... საყურადღებოთ, რომ ვინც ბორჯომის წყალს დიდ ბოთლიანათ ორ მანეთ... ვარზე მეტათ გაყიდის მათ წყალი აღარ მიეცემათ. ვთხოვთ მყიდველებს, რომ... სავაჭრომაც ზემო აღნიშნულ ფასზედ ზევით გადაგახდევინოთ, გთხოვთ გვა... ბოთ ბორჯომში ღია ბარათით.

10 – 1 პატივისცემით დ. ე. ქებაძ...

---

## ოზურგეთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან **საჭიროა ქალაქის აფ... ქისთვის გამგე-პროვიზორი ჯამაგირი თვეში 500 მანეთი.**

**მისამართი:** ქალაქ ოზურგეთის ქალაქის გამგეობას. 3—

---

## იყიდება
## რესტორანი და ბაღი „გამბარო"

მიხაილოვის პროსპექტი № 199, მუშტაიდის შესავალს. იქვე იყიდება სასწ... (დიდი) გირებით, სამარხვო ზეთი 1 ნახ. ფუთი და ცინკის წყლის შ'ანახ...

---

## იყიდება
## სახლი ოთხი ოთახით.

იკითხეთ ნაძალადევში, ვლადიმირის მ ედანი, სახლი ჯავახოვისა. 2—

---

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

— (**25 წლის ნაშრომი**) —

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მეორე შევსებულ-შესწორებული **გამოცემა** აწყობილია უშპონოთ (მჭიდროთ) კ... პესით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1100 სვეტს, განმარტავს ყოვ... გვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. **ფასი ხელისმომწერთათვის** (... წინათ დაიკვეთა) მშვენიერი კალინკორის ყდით, ოქროს ვარაყიან ასოებით ... ბეჭდილი **20 მან.**; უყდოთ—**15 მან.** (წინათ შემოტანილის გამორიცხვით); არახე... მომწერთათვის—ყდით **30 მან.**, უყდოთ—**25 მან.** ფოსტის ხარჯი—**2 მან.** (... თფილისში გამომცემლისაგან შეიძენს, ეს ხარჯი არ გადახდება). მსურველთ... მართონ: თბილისში, ბაზრის ქუჩა, № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, „თ... რი და ცხოვრება"-ს რედაქციას, იოსებ იმედაშვილს. (5—3)

---

## გაზეთ „ერთობის" ხელისმომწერთ.

მესამე რაიონული კოლექტივი ამით აცხადებს, რომ ვისაც ფული არ შემოუტანია ამ თვის, 14 ამ თვემდე უნდა შემოიტანონ. რომლებსაც გასული თვისაც არ გადაუხდიათ, იმათაც ამ ვადის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთში გამოვაცხადებთ მათს სახელსა და გვარს.

კოლექტივის მდივანი **ი. მეგრელიძე.**

---

## სალიკვიდაციო კომისია
## თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა

სთხოვს იმ პირთ, დაწესებულებათ, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებს, რომ... თაც აქვთ რაიმე პრეტენზია კომიტეტისადმი, ან ფულის ანგარიშები, შეატყ... ნოს ამის შესახებ წერილობით ერთი თვის განმავლობაში ამა წლის 10 აგვისტ... დან დაწყებული კომისიის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 9) დილის 9—2 ს... ათამდე. 10 სექტემბრიდან არავითარი განცხადებანი და პრეტენზიები მი... ბული არ იქნება.

**სალიკვიდაციო კომისია.** (4—

---

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაერთიანებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**